

კოპენჰაგენი

№7



ფასი: 1,50 ლარი

საფეხბურთო ჟურნალი, რომელიც არ ძველდება

ბრაზილია 2014

კონსტანტინე

რეალი

ინსუპერპო
პერსონა



გოგონას ჩემპიონატის
თილისევი და „აღიანის“
პუბლიკა

მთავარი რედაქტორი

ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი



მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების მეშვიდე ბურთი. ჩილე, 1962 წელი.

დამფუძნებლები:

კობა ბელოძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50

<http://bedoidze.site.ge/>

ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;

ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com

tariel1981@hotmail.com



მსოფლიო ჩემპიონატისთვის შექმნილი სიმღერები

მსოფლიოს 2014 წლის მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატს სწორედ ისეთი ჰიმნი ექნება, როგორც ბრაზილიის ხასიათსა და ტემპერამენტს შეეფერება. სიმღერის პრეზენტაცია მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთმა ოფიციალურმა სპონსორმა – კოკა-კოლამ მოაწყო. მუნდიალის ჰიმნს ბრაზილიელი ტექნო-პოპ-შემსრულებელი გაბი ამარანტოსი ასრულებს. მას აკომპანიმენტს ბენდი „Monobloco“ უწევს. სამბას რიტმებთან ერთად, სიმღერაში ტაშის და მსაჯის სასტვენის ხმაც არის შეზავებული... სიმღერის სახელწოდებაა „Todo Mundo“, („მთელი სამყარო“).

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სიმღერამ „Wavin' Flag“ დიდი პოპულარობა მოიპოვა. რაც შეეხება შაკირას მიერ შესრულებულ წინა ჩემპიონატის კიდევ ერთ ჰიტს, რომელსაც „Waka Waka“ ეწოდება, youtube-ში ნახვების რაოდენობით მონინავე პოზიციებზე იმყოფება.



**FIFA WORLD CUP
Brasil**



სარჩევი

ბრაზილია 2014	4
მსოფლიოს ჩემპიონატის თილისმები და „ადიდასის“ ბურთები	6
მადრიდული ფინალის გამოძახილი	8
პენტაკამპეონები	9
ხუან სებასტიან ვერონი: „მარადონასნაირი ფეხბურთელი არასდროს დაიბადება“	12
მრავლისმეტყველი ფაქტები	13
გერმანიის ნაკრების ქომაგის ფიქრები	16
პირლო წარსულზე	16
ექვსს უკლია... ბრაზილია	17
ინტერვიუ პელესთან	
„ბაურუდან“ „კოსმოსში“	19
ქართული ფეხბურთის გარიჟრაჟი	20
რეალი	22

მსოფლიო ჩემპიონატი

ბრაზილია 2014

რიგით მეოცე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ბრაზილიის ხასხასა მოედნებზე „დაიხატება“. „მხატვრები“ იცოცხლე ბევრნი იქნებიან, თუმცა საფეხბურთო ანთოლოგიის „ოქროს ყუთში“ დასაბინავებელ შედეგებს, როგორც წესი ალბათ თითზე ჩამოსათვლელი მოთამაშეები შექმნიან...



სკოლარი და ფარეირა

იტალია, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის (კოპა ამერიკა) გამარჯვებული იურუგუაი, მსოფლიო ჩემპიონი ესპანეთი და დამაჯერებლად, ზედიზედ მესამედ მოიგეს კონფედერაციის თასი. ბრაზილიელთა მთავარ

ტასტიკური მიღწევა იყო და მის ამ რეკორდს, ალბათ, დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ გაიმეორებს. ლუიშ ფელიპე სკოლარის თანაშემწეს კარლოს ალბერტო პარეირასაც, მსოფლიო ჩემპიონატი მთავარი მწვრთნელის რანგში აქვს მოგებული და მის შთამბეჭდავ კოლექციას კონფედერაციის თასზე და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე გამარჯვებებიც ამშვენებს.

რომელი იქნება ის ფეხბურთელი ვინც: პელეს, გარინჩას, ბეკენბაუერის, კემპესის, როსის, მათეუსის, მარადონას, რომარიოს, ზიდანის, რონალდინოსა და რონალდოს სამყოფელ უმაღლეს იერარქიულ კვარცხლბეკზე შეძლებს ასვლას?? ნეიმარი თუ მესი? მიოლერი თუ ბალოტელი? იქნებ კავანი, რუნი, ტორესი, კრიშტიანო რონალდო, რიბერი ან რობენი? ერთი კი ფაქტია, ბრაზილიაში ყველა იმ ნაკრებმა მოიყარა თავი ვისაც ჩემპიონობისათვის ბრძოლა „ხელე(ფეხე)წიფება“. უდიდეს საფეხბურთო ფორუმზე რვავე მსოფლიო ჩემპიონი ნაკრები გამოვა და ჩვენდა სასიხარულოდ ყველა მათგანი ძალზე ძლიერი შემადგენლობით არის დაკომპლექტებული, რაც ჩემპიონატს უფრო მეტად დაძაბულსა და საინტერესოს გახდის. არ უნდა დაგვავინყდეს წინა მუნდიალის ფინალისტი უძლიერესი ჰოლანდიის ნაკრებიც. შევეცდებით შევაფასოთ ზემოთ ჩამოთვლილი გუნდების შესაძლებლობები და შანსები, მაშ ასე...

კოზირად შეგვიძლია მათი სამწვრთნელო შტაბი მივიჩნიოთ. მათმა მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ერთხელ უკვე იზეიმა გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატზე. 2002 წელს მისმა განვრთნილმა სელესიომ, (ისევე როგორც კონფედერაციის თასზე) ყველა თამაში ძირითად დროში მოიგო. შემდეგ სკოლარი პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა და მისი მეცადინეობით ამ ქვეყნის ნაკრებმა თავისი ისტორიის მანძილზე საუკეთესო შედეგი აჩვენა. პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 2006 წელს გერმანიაში გამართულ მუნდიალზე ჯგუფში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა, მერე მერვედფინალურ შეხვედრაში ძირითად დროში გაიმარჯვა და ამ შედეგით სკოლარიმ მსოფლიო ჩემპიონატებზე ზედიზედ თერთმეტი თამაშის ძირითად დროში მოგება შეძლო. ეს ნამდვილად ფან-

ბრაზილიის ნაკრები, მონოლითური, მეტბოლი, კარგად კომბინირებული გუნდია, რომლის ყველა სათამაშო რგოლი ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. მაგალითად ისეთი მოთამაშე როგორც მიუნხენის „ბაიერნის“ ცენტრალური დაცვის ბურჯი დანტეა, – ნაკრებში ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ არ მოიაზრება, რადგან მის პოზიციაზე ტიაგო სილვა და დავიდ ლუისი თამაშობენ. ბრაზილიის ნაკრებს, სწრაფი, ტექნიკური, შესანიშნავი დრიბლინგების განმხორციელებელი ლიდერი ჰყავს. ნეიმარი სწორედ ის ფეხბურთელია რომელსაც საფეხბურთო განგებამ ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება დააკისრა მსოფლიოს მეოცე ჩემპიონატზე.



ბრაზილია: ამ გუნდმა გასული წლის მთავარ სანაკრებო ტურნირზე დაამტკიცა, რომ როგორც ყოველთვის ნებისმიერი შეჯიბრების მთავარი ფავორიტია. კონფედერაციის თასზე მათ ყველა თამაში მოიგეს. ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს: აზიის ჩემპიონი იაპონია, ჩრდილოეთ ამერიკის უძლიერესი მექსიკელთა გუნდი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი

ესპანეთი: ამ ნაკრების ძალზე წარმოსადგემა შემადგენლობამ ესპანური ფეხბურთი უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა. პირინის ნახევარკუნძულის წარმომადგენლებმა ერთი შეხედვით თითქოს ამოწურეს თავისი შესაძლებლობები, – ჟარგონზე, რომ ვთქვათ ისინი ბრაზილიელებმა „დაამუხრუჭეს“ და ვეღარც ესპანეთის ნაკრების ძირითადი ბირთვი ასპარეზობს „ბარსელონაში“ ძველებური ბრწყინვალეობით, თუმცა ესპანეთის ნაკრებში ისეთი შესანიშნავი ფეხბურთელები ირიცხებიან, რომ ისინი აუცილებლად ფავორიტთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. გამოცდილი ვისენტე დელ ბოსკეს დღევანდელი ფორმაციის ნაკრების ლიდერებად კი ანდრეს ინიესტა და ფერნანდო ტორესი მიგვაჩნია.

იტალია: ჩეზარე პრანდელიმ ყოველთვის დაცვაზე კონცენტრირებული, პრაგმატულად მოთამაშე იტალიის ნაკრები შემტევ გუნდად გარდაქმნა, რაც შედეგებზეც აისახა და იტალიელები ევროპის ჩემპიონატზე მეორე, ხოლო კონფედერაციის თასზე მესამე ადგილზე გავიდნენ. მათმა ლიდერებმა, ანდრეა პირლომ და მარიო ბალოტელიმ თუ „აჟორულ ნოტაზე“ ითამაშეს, იტალიის ნაკრები ყველასათვის არასასურველი მეტოქე იქნება.

გერმანია: ბოლო წლებში იოაჰიმ ლიოვის შეგირდები დიდ საფეხბურთო ტურნირებზე საპრიზო ადგილებს კი იკავებენ, მაგრამ ჩემპიონობამდე ყოველთვის რაღაც აკლდებათ ხოლმე. მათ ტექნიკურად მოთამაშე ძლიერ გუნდებთან უჭირთ თამაში, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს, – ბოლო ორ-ორ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, გერმანიის ნაკრებს, ტექნიკურად მოთამაშე ესპანეთისა და იტალიის ნაკრებებთან შეხვედრებში მოეცარა ხელი(ფეხი), თუმცა გერ-

მანელთა ამჟამინდელი კონტიგენტი უკვე არაერთი წელია გვერდიგვერდ თამაშობს და მათ შეთამაშების მხრივ პრობლემა არა აქვთ. მათი ლიდერები თომას მიოლერის „თამაღობით“ ჩინებულ ფორმაში ხვდებიან მუნდიალს, რაც გერმანელთა შანსებს ერთი-ორად ზრდის.

არგენტინა: ამ გუნდის პირველი მოთამაშე ლეო მესია, რომელიც წლების განმავლობაში „ბარსელონაში“ დაფრინავს, ტიტულებს ტიტულებზე იგებს, ხოლო არგენტინის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირთა ათეულში კი ვერ შედის. მას ნა-



ისინიც გაამართლებენ მილიონობით ფეხბურთის მოყვარულის იმედებს...

ურუგვაი: ოსკარ ტაბარესის გუნდი ბოლო ოთხ წელიწადში უმაღლეს მიზნებს „გაეთამაშა“ და გამოუვიდა კიდეც. ურუგვაის ნაკრებმა მსოფლიოსა და კონფედერაციის თასებზე მეოთხე ადგილი დაიკავა, სამხრეთ ამერიკის (კოპა ამერიკა) ჩემპიონატზე კი იპირველა. როცა ურუგვაელთა მრისხანე თავდასხმის ხაზი: კავანი-ფორლანი-სუარესის ტრიადა შეუტევეს, ბრაზილიის მოედნებზე არაერთი მოწინააღმდეგე განზბილდება... სხვათაშორის ურუგვაელები ეგრეთწოდებულ „სიკვდილის ჯგუფში“ არიან იტალიელებთან, ინგლისელებთან და კოსტა-რიკელებთან ერთად. ურუგვაის ნაკრების მთავარი სიძლიერე, – გამოცდილებაში და სათამაშო რგოლებს შორის ჰარმონიულ შერწყმაში გამოიხატება.

ინგლის: მართალია საქმე ფეხბურთის სამშობლოს ეხება, მაგრამ ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატი ოდენ ერთხელ, საკუთარ ქვეყანაში აქვს მოგებული, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე არასდროს არ უპირველია. ინგლისელთა წამყვანი მოთამაშე უეინ რუნია, რომლის კლუბიც პრემიერლიგაში და ჩემპიონთა ლიგაზე ჩაფლავდა, მაინცდამაინც თვითონ რუნიმაც ვერ წარმოაჩინა დიდად თავი და ყოველივე ეს ფაქტორი გვიბიძგებს იქითკენ, რომ ვთქვათ: როი ჰოჯსონის გუნდს ძალზე გაუჭირდება, მითუმეტეს, რომ ისინი ჯგუფში იტალიელებთან და ურუგვაელებთან ერთად არიან.

საფრანგეთი: მათი მთავარი მწვრთნელია დიდიე დეშამია, კაცი რომელმაც 1998 წელს მსოფლიოსა და 2000 წელს ევროპის ჩემპიონატი მოთამაშის რანგში, კაპიტნის სამკლავურით ხელდამშვენებულ-



კრებთან ერთად არც მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგია და არც სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. ამისდა მიუხედავად არგენტინის ნაკრების ქომბაგები ბრაზილიაში ნაცის გატეხვას ელოდებიან და ამის საბაბიც აქვთ. ბოლოსდაბოლოს ეს ხომ არგენტინის ნაკრებია, მაგრამ დღევანდელი ვერ-

ცხლისქვეყნელთა მთავარი გუნდი, ისევე როგორც პორტუგალიის ნაკრები ერთ მოთამაშესთან ასოცირდება. მართლაც, მსოფლიოს მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატზე, ლეო მესისგან და კრიშტიანო რონალდოსგან გულშემატკივრები ბევრს ელიან და იმედი





მა მოიგო. ის ეხლა მწვრთნელის როლში შეეცდება დაიპყროს „ევერესტი“. ფრენკ რიბერმა, კარ-

გი გაგებით „მუშა“ ფეხბურთელმა, რომელსაც გოლების გატანაც მშვენივრად ეხერხება, ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან მოუმატა თამაშს. რიბერისა და ბენზემას დუეტი თუ დაიქოქა, საფრანგეთის ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო გუნდი იქნება მუნდიალზე.

ჰოლანდია: ეს არის დიდი მწვრთნელის ძლიერი გუნდი. ლუის ვან გაალს, ამ მართლაც

უძლიერეს მწვრთნელს, ერთხელ უკვე მოეცარა ხელი, – მაშინ როდესაც ნარინჯისფრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა. ის ეხლა ყველანაირად შეეცდება კარიერის ცუდად მოსაგონებელი ამბავი წარმატებული ასპარეზობით გადაწონოს. შესარჩევ ეტაპზე ჰოლანდიის ნაკრებმა გამართული და შედეგიანი თამაში აჩვენა. საფრანგეთის ნაკრების მსგავსად, აქაც განსაკუთრებით ორი მოთამაშის ბრწყინვალეობა იგრძნობა, – არიენ რობენი და რობინ ვან პერსი ძლიერი „დამრტყმელები“ არიან.

ტარიელ კინწურაშვილი

მსოფლიოს ჩემპიონატის თილისმები და „აღიდასის“ ბუჩოები



თილისმები:

სიმბოლოურია, რომ სწორედ ფეხბურთის სამშობლოში ჩაეყარა საფუძველი იმ ტრადიციას, რომელმაც უფრო გაახალისა და გააღამაზა პლანეტის უპირველესი საფეხბურთო შეჯიბრება. 1966 წელს, ინგლისში გამართული ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ წესად დაბეჭდვად, ყველა ამ გათამაშებას თავისი თილისმა ჰყოლოდა. წლების განმავლობაში თილისმის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მას გარკვეულწილად იმ ქვეყნის ისტორია და კულტურა აესახა სადაც ტურნირი ტარდებოდა.

თილისმებად ძირითადად ადამიანებს და ცხოველებს ირჩევდნენ, თუმცა აბსტრაქტული ფიგურებიც გამოერეოდა ხოლმე. აი ისინიც:

ვილი“ (ინგლისი - 1966 წელი) ლომი ინგლისურ ჰერალდიკაში ძალზე გაშინაურებული ცხოველია. ის ცხოველთა მეფეა და მიუხედავად იმისა, რომ ლომები ინგლისში არ ბინადრობენ, – ამ თილისმით ბრიტანელებმა ერის ამაყ ბუნებას გაუსვეს საზი.

„ხუანიტო“ (მექსიკა - 1970წელი) ხუანიტო, რომელიც ხუანის მოფერებითი ფორმაა, გახდა პირველი ადამიანი თილისმა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ჭაბუკ

ხუანიტოს მექსიკური სომბრერო ახურავს თავზე.

„ტიპი და ტაპი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა - 1974წელი) ეს ორი ბიჭი, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან, ერთიან სიმბოლოს ქმნიან. ეს ორად გაყოფილი გერმანიის სიმბოლო იყო.

„გაუჩიტო“ (არგენტინა - 1978წელი) გაუჩიტოც ხუანიტოსი არიყოს კნინობითი სახელია. სახელების მსგავსი დაბოლოებები ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. გაუჩიტო, რომელიც არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ფორმაში გამოწყობილი მოზარდია, გარკვეულწილად მომავალს ეხმაურება და სამომავლო პერსპექტივების იმედს იძლევა. დღევანდელი გადმოსახედიდან, მე პირადად მასში მარადონას ვხედავ. გაუჩიტო მიღებულია სახელიდან – „გაუჩო“.

„ნარანხიტო“ (ესპანეთი - 1982წელი) ეს არის ფორთოხალი, რომელიც მართალია მთელი ესპანეთის მასშტაბით არ ხარობს, მაგრამ ესპანეთში არის ადგილები სადაც ამ ხილის პლანტაციები უხვად არის და ეს ქვეყანა მსოფლიოში ფორთოხლის ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებლად ითვლება. სხვათაშორის მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ესპანეთში ფორთოხლის გაყიდვის ბუმი დაიწყო. ნარანხიტო სიხარულისა და სიცოცხლის სიმბოლო იყო.



„პიკე“ (მექსიკა - 1986 წელი) მექსიკა გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატს მეორედ უმასპინძლა, – თილისმად არჩეულ იქნა თითქმის ყველა მექსიკური კერძის შემადგენელი ინგრედიენტი „ცხარე წინაკა“ – რალა თქმა უნდა კვლავ მექსიკური სომბრეროს თანხლებით.

„ჩაო“ (იტალია - 1990 წელი) ეს თილისმა შეიძლება ითქვას ყველაზე ორიგინალური და აბსტრაქტულია მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ის იტალიის ეროვნული დროშის ფერებშია გამოწყობილი.

„სტრაიკერი“ (ამერიკის-შეერთებული შტატები - 1994 წელი) სტრაიკერი, რომელიც თავისი შინაარსით თავდამსხმელის როლს ასრულებდა, ერთგვარი გამოსატყულება იყო იმისა, რომ არც თუ ისეთ საფეხბურთო ქვეყანას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, – სურდა სამშობლოში ჩატარებული ჩემპიონატი: ლალი, სანახაობრივი და, ბევრი გოლით „დახუნძლული“ ყოფილიყო. ამერიკელები საქმეს ერთობ სერიოზულად მიუდგნენ და თილისმა ისეთ ცნობილ კომპანიას დაამზადებინეს, როგორც არის „უორნერ ბრაზერსი“.

„ფუტიქსი“ (საფრანგეთი - 1998 წელი) ეს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ფრთოსანი ქმნილებაა მუნდიალების თილისმებს შორის. ფრანგებმა რალა თქმა უნდა ნაციონალური მამალი აირჩიეს.

„ატო“, „კაზი“ და „ნიკი“ (სამხრეთ კორეა - იაპონია - 2002 წელი) ესენი იყვნენ ფანტასტიური პერსონაჟები – მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის სტუმრები უცხო პლანეტებიდან.

„გოლეო“ (გერმანია - 2006 წელი) და ისევ ლომი! ცხოველთა მეფე ორმოცი წლის შემდეგ კვლავ

დაბრუნდა. გალეო უფრო წააგავდა ნამდვილ ლომს ვიდრე მისი წინამორბედი ვილი. გერმანელებმა კი უკვე გაერთიანებული გერმანიის სახელით უმასპინძლეს უდიდეს საფეხბურთო ფორუმს.

„ზაკუმი“ (სამხრეთ აფრიკა - 2010 წელი) ლეოპარდი! ეს უკვე მესამედ კატისებრთა ოჯახის ბინადარი... ეს ცხოველი ხომ აფრიკაში ბინადრობს. ზაკუმი აფრიკის კონტინენტზე პირველად გამართული მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა იყო.

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის თილისმა კი ჯავშნოსანი ცხოველი არმადილოა. ამ ცხოველს, რომელსაც „ფულეკო“ დაარქვეს გადაშენება ემუქრება და სწორედ ამიტომ მოხდა მისი თილისმად არჩევა. აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „Fuleco“, სიტყვების: „ფეხბურთი“ და „ეკოლოგია“ შერწყმას წარმოადგენს. „ფულეკო“ შესახედაობით – ხალას, მხიარულ განწყობას ქმნის. 2014 წლის საფეხბურთო ბატალიებისას, როგორი მხიარულების და აღმაფრენის დღეებიც იქნება ბრაზილიაში, – ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება.


ისტორიაში და ერთგვარად ბურთის კლასიკურ ნიმუშად იქცა.

„ტელსტარ დურლასტი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა - 1974 წელი) დასავლეთ გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიო პირველობას, წინა გათამაშების ოფიციალური ბურთის მსგავსი მრგვალი სფერო ამშვენებდა. ის მცირედით განსხვავდებოდა მისი წინამორბედისგან და ეს ამ ბურთის სახელშიც გამოიხატა.

„ტანგო“ (არგენტინა - 1978 წელი) ადიდასმა ბურთს დიზაინი შეუცვალა და ეს სტილი მომდევნო ოცი წლის განმავლობაში შეინარჩუნა. რა თქმა უნდა ყოველ მომდევნო ბურთს თავისებური გაფორმება ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ჩათვლით, ბურთების მოხატვის ფორმა ოცი ტრიადით გამოიხატებოდა.

„ტანგო ესპანია“ (ესპანეთი - 1982 წელი) ისევე როგორც ტელსტარის შემთხვევაში მოხდა – ტანგომაც მცირე მოდიფიკაცია განიცადა და ყოველივე ეს ბურთის სახელწოდებაშიც აისახა.


„ატტეკა“ (მექსიკა - 1986 წელი) მექსიკაში მეორედ გასამართი მსოფ-



„ადიდასის“ ბურთები:

„ტელსტარი“ (მექსიკა - 1970 წელი) ადიდასის ბურთების სერია გახსნა „ტელსტარმა“. ეს ბურთი ხელნაკეთი იყო. ის შავი ფერის თორმეტი ხუთკუთხა და თეთრი ფერის ოცი ექვსკუთხა ფორმისგან შედგებოდა. „ტელსტარმა“ გამორჩეული ადგილი დაიკავა ფეხბურთის

ლიო ჩემპიონატისთვის – ადიდასმა ატტეკთა კულტურის სიმბოლოებით განწყობილი ბურთი დაამზადა. აღსანიშნავი ფაქტია, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ერთადერთხელ მოხდა, როცა ტურნირის ყველა ბურთი ხელით შეკერეს. ეს ფიფას პირველი ოფიციალური ბურთი იყო, რომელიც სინთეტიკური მასალით დაამზადეს.



ბრაზუკა

„ეტრუსკო უნიკო“ (იტალია-1990 წელი) ეს ბურთი ნოვატორული გახდა იმით, რომ მისი შიდა ფენა პოლიურეტანის ქაფით იყო შესრულებული – რამაც ის უფრო სწრაფი და წყალგაუმტარი გახადა. ბურთი ისტორიულ ორნამენტებს შეიცავდა. „ეტრუსკო უნიკოს“ ოც ტრიადაში ეტრუსკების სამთავიანი ლომები იყო ჩახატული „კუესტრა“ (ამერიკის შეერთებუ-

ლიშტატები - 1994 წელი) ბურთი რომელიც „ადიდასმა“ ამერიკაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაამზადა, წინა ბურთებთან შედარებით უფრო სწრაფი იყო და წყლითაც არ იჟღინებოდა.

„ტრიკოლორი“ (საფრანგეთი-1998 წელი) „ტრიკოლორი“ ორიგინალურობა იმაში გამოვლინდა, რომ ის გახდა პირველი ფერადი ბურთი. „ადიდასმა“ „ტრიკოლორი“ საფრანგეთის დროშის ფერებით გააფორმა და ფრანგების ნაციონალური მამლის კუდებიც მიახატა ბურთებს.

„ფივერნოვა“ (სამხრეთ კორეა-იაპონია - 2002 წელი) „ადიდასმა“ აზიაში გამართულ მუნდიალზე ტრადიციულად დაარღვია. ოცდამეერთე საუკუნეში - მეოცე საუკუნისთვის მიღებული ოცი ტრიადით განწყობილი ბურთი აღარ გამოუშვა და ამ ნოვაციის შედეგად გარკვეული კრიტიკაც დაიმსახურა – თუმცა ტექნოლოგიური თვალსაზრისით „ფივერნოვა“ თავის წინაპრებს რა თქმა უნდა აღემატებოდა.

„ტიმგაისტი“ (გერმანია - 2006 წელი) ეს გახლდათ შემთხვევა,

როდესაც ბურთები კონკრეტულად განსაზღვრული იყო თითოეული მატჩისათვის. ბურთებზე შეხვედრის თარიღი, ასევე მონაწილე გუნდების და სტადიონის სახელები ეწერა.

„ჯაბულანი“ (სამხრეთ აფრიკა 2010 წელი) ამ ბურთმა ბევრი მითქმამოთქმა გამოიწვია საფეხბურთო სამყაროში, რადგან ძალიან მსუბუქი და ყველაზე აეროდინამიური ნაკეთობა გამოდგა „ადიდასის“ მიერ შექმნილ ბურთებს შორის. იგი შესრულებული იყო 100%-ანი თერმოპლასტიკური პოლიურეტანით.

მომავალ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ვიხილავთ „ადიდასის“ მიერ შექმნილ კიდევ ერთ შედეგს. ბურთს, რომელიც ბრაზილიის ხასხასა მინდვრებს დაამშვენებს „ბრაზუკა“ ერქმევა. ეს ბურთი შესახედაობით თავისი წინამორბედებისგან საგრძნობლად განსხვავდება. „ადიდასმა“ ამ ბურთში ახალი საფეხბურთო მოდის ტენდენციები ჩააქსოვა. იმედია ბრაზილიაში მრავალი ლამაზი გოლი გავა და ამაში „ბრაზუკაც“ თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს.

მადრიდელური უინჯის გამოძახილი

ბოლო წლებში ესპანური ფეხბურთი დომინირებს მსოფლიოში. მათმა ნაკრებმა ერთხელ მსოფლიო და ორჯერ ევროპის ჩემპიონატი მოიგო. კლუბებმაც არ დააკლეს და „ბარსელონამ“ ხომ ერთი დიდი საფეხბურთო ეპოქა შექმნა – ბოლო რვა წელში კი „სევილიამ“, ევროპული საზომებით ამ ერთმა მოკრძალებულმა კლუბმა სამჯერ მოიგო ევროპის ლიგა და ერთხელ უფვას სუპერ თასი, ხოლო წლევეანდელი საკლუბო ფეხბურთის „კერკეტმა კაკალმა“ „ატლეტიკომ“ ორჯერ ევროპის ლიგის თასი და ორჯერაც უფვას სუპერ თასი მოიპოვა. 2013-2014 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფინალშიც ორი ესპანური, უფრო მეტიც, ესპანეთის დედაქალაქის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რაც დაგვეთანხმებით მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

მადრიდელი ფინალი მართლაც თვალსასიერო და დრამატიზმით აღსავსე გამოდგა. მიუხედავად „ატლეტიკოს“ მედარი წინააღმდეგობისა, თამაში მაინც გაცილებით უფრო ტიტულოვანმა და გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა მოიგო, თუმცა მათ წარმატების მიღწევაში ილბალი და

მსაჯის მიერ დამატებული წუთები გვარიანად დაეხმარათ.

სიმეონემ ძალიან ძლიერი გუნდი შექმნა. მისმა განვრთნილმა ფეხბურთელებმა, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას ერთმანეთის მიყოლებით გამოთიშეს ევროპული ფეხბურთის ისეთი აღიარებული „გრანდები“, როგორებიც არიან: „მილანი“, „ბარსელონა“, „ჩელსი“ და კინაღამ ფინალიც მოიგეს, მაგრამ როგორც იტყვიან ხოლმე „კინაღამ“ არ ითვლება. ამ ბოლო დროს გუნდის ბომბარდირად ქცეულმა „რეალის“ ლეგენდარულმა მცველმა სერხიო რამოსმა მატჩის ძირითადი დროის დამატებულ წუთებში ანგარიში გაათანაბრა, ხოლო დამატებულ დროში სამეფო კლუბმა კიდევ სამი გოლი გაიტანა და მეთექვსმეტე მატჩი მოიგო ჩემპი-

ონთა ლიგა (ჩემპიონთა თასი).

„რეალის“ ლიდერმა კრიშტიანო რონალდომ 2013-2014 წლების სეზონი ზღაპრულად ჩაატარა და ნამდვილად იმსახურებდა ჩემპიონთა ლიგის თასის აღმართვას. ამ გამარჯვებით კარლო ანჩლოტიმაც ძალზე წინ წაიწია – ის საკლუბო ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულებმოსხვეჭილი მწვრთნელი გახდა.

კულოცავთ მადრიდის „რეალს“ უდიდეს წარმატებას. „ატლეტიკო“ კი ამ სეზონში მთლად ხელფეხმოცარული არ დარჩენილა, მათ ხომ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგეს.



ეს უკვე მათია!..

ფანბურთის ჯაშოქები

კენტაკადაკოსნოვი

მსოფლიოს 2014 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი რიგით მეოცეა და მას ის ქვეყანა მასპინძლობს, რომლის ეროვნული ნაკრებიც ყველაზე ძლიერ გუნდად ითვლება ისტორიულად. ტავტოლოგიად არ ჩაგვითვალოთ თუ სიტყვებს „ყველაზე“ ან „ყველა“ ძალიან ბევრჯერ წააწყდებით, იმიტომ რომ ჩვენ საუბარი გვექნება ბრაზილიის ნაკრებზე, რომელიც ყველაზე წარმატებული გუნდია საფეხბურთო სამყაროში, რომელმაც ყველაზე მეტჯერ, ხუთჯერ (1958, 1962, 1970, 1994, 2002) მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და აღნიშნულ ტურნირზე ორჯერ გაიმარჯვა (1970 და 2002) ისე, რომ ყველა მატჩში ძირითად დროში მიაღწია წარმატებას. ბრაზილია ერთადერთია, რომელსაც ყველა მსოფლიო ჩემპიონატზე აქვს მონაწილეობა მიღებული. ბრაზილიის ნაკრების პირველი თამაში, 1914 წელს, ქალაქ ფლუმინენსეში შედგა. ის მატჩი რიო დე ჟანეიროსა და სან პაულუს რჩეული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა – მათ ოსვალდო გომესისა და ოსმანის გატანილი გოლებით, ინგლისის საფეხბურთო კლუბ „იტსტერ სიტის“ სძლიეს ანგარიშით 2:0.



გარინჩა, დიდი, პელე, ვავა და ზაგალო

1930 და 1934 წლებში გამართულ მსოფლიოს პირველ და მეორე მსოფლიო ჩემპიონატებზე ბრაზილიის ნაკრები პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა ასპარეზობას, მაგრამ მომავალში ვითარება შეიცვალა. ბრაზილია 1938 წლის მსოფლიოს მესამე ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო ლეონიდას და სილვა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

1950 წელს ბრაზილიამ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გაიმართა. 1950 წლის 16 ივლისს რიო-დე-ჟანეიროში, პლანეტის ყველაზე გრანდიოზულ სტადიონზე, სადაც მაშინ ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო დასწრება დაფიქსირდა, – 67-ე წუთზე სკი-აფინომ შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში, მასპინძელთა ნაკრებს ანგარიში გაუთანაბრა. ათ წუთში გი-

ჯამ ორასი ათასზე მეტი მაყურებლის თვალწინ ბრაზილიელ მკვარეს ბარბოსას მეორე გოლიც გაუტანა. ურუგვაიმ „მარაკანაზე“ 2:1 მოიგო და მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ეს მატჩი სამხრეთ ამერიკაში ცნობილია როგორც „მარაკანასო“, ბრაზილიაში კი მას „საბედისწერო ფინალს“ უწოდებენ.

1954 წლის მსოფლიო პირველობაზე ბრაზილია გადახალისებული შემადგენლობით წარსდგა გულშემოთხევართა წინაშე. გუნდში იყვნენ, მომავალში მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდებად ქცეული მოთამაშეები: ნილტონ და ჯალმა სანტოსები და დიდი. იმ ტურნირში ბრაზილიელები შორს ვერ წავიდნენ, მეოთხედფინალში უნგრეთის „დიდ გუნდად“ ცნობილმა ნაკრებმა, მეოთხედფინალში 4:2 დაამარცხა ბრაზილია.

მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის დროს, ბრაზილიელთა

მწვრთნელმა ვისენტე ფეოლამ გუნდში მკაცრი წესები დანერგა. მან ფეხბურთელებს დაუნესა ორმოცი წესი, რომლებიც ნაკრების წევრებს უნდა შეესრულებინათ. მაგალითად: ქუდის და ქოლგის ტარება, პრესასთან საუბარი განკუთვნილ დროს და ა.შ... ეს იყო ერთადერთი გუნდი, რომელსაც ჰყავდა ფსიქოლოგი, სტომატოლოგი და ევროპაში მივლენილი „მზვერავი“, რათა შეჯიბრებამდე ერთი წლის მანძილზე დაკვირვებოდა გუნდებს, მომავალ მეტოქეებს.

ბრაზილია ყველაზე რთულ ჯგუფში მოხვდა ინგლისთან, საბჭოთა კავშირთან და ავსტრიასთან. პირველ მატჩში მათ 3:0 დაამარცხეს ავსტრიელები, შემდეგ კი ინგლისთან 0:0 ითამაშეს. ბრაზილიელები წუხდნენ რომ მათ უნდა ეთამაშათ განსაკუთრებით ძლიერ და ტურნირის მოგების ერთ-ერთ უპირველეს პრეტენდენტ საბჭოთა კავშირთან. მატჩის დაწყებამდე გუნდის ლიდერები ნილტონი სანტოსი, ბელინი და დიდი ესაუბრნენ მწვრთნელ ვისენტე ფეოლას და დაარწმუნეს რომ საბჭოთა კავშირის დასამარცხებლად და თასის ასაღებად გუნდში სამი ცვლილება გაეკეთებინა. ისინი ითხოვდნენ, რომ მწვრთნელს გუნდის ძირითად, სასტარტო შემადგენლობაში: პელე, გარინჩა და ზიტო დაეყენებინა. ფეოლა ასეც მოიქცა და შემადგენლობაში ცვლილებებმა გაუმართლა კიდევ. თამაშის დასაწყისში გარინჩამ მიიღო ბურთი, მოაყტუა ორი მოწინააღმდეგე და გაიტანა გოლი, სულ მალე კი ვავამ უპირატესობა გაზარდა. „ეს წუთები იყო ყველაზე დიდი სამი წუთი ფეხბურთის ის-



ტორიაში“ – ასე ეწოდა შემდგომში თამაშის ამ მართლაც საოცარ მონაკვეთს. საბოლოოდ 2:0 ბრაზილიელთა სასარგებლოდ. მეოთხედფინალში ბრაზილიელებმა პელეს გოლით დაამარცხეს უელსელები, ხოლო ნახევარფინალში ფრანგებს მოუგეს 5:2 და იმ ხუთი გოლიდან სამი, პელეს ანგარიშზე იყო. ფინალში ბრაზილიის ნაკრებმა მასპინძელ შვედეთს ნახევარფინალური ანგარიში 5:2 გაუმეორა (გოლები: პელე-2, ვავა-2 და ზაგალო-1) და გახდა პირველი გუნდი, რომელმაც საკუთარი კოტინენტის გარეთ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. აღსანიშნავია ის, რომ ფეოლას ვარაუდებზე ჩაეძინებოდა ხოლმე, თამაშის დროს კი თვალები დახუჭული ჰქონდა და მძინარის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამის გამო დიდი ხუმრობით ხშირად ეუბნებოდა რომ ნამდვილი მწვრთნელი ყოფილიყო.

1962 წელს ბრაზილიამ მეორედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდის ლიდერობა გარინჩამ იტვირთა მას შემდეგ რაც მექსიკასთან სადებიუტო შეხვედრაში პელე დაიმტვრა და ტურნირის ნაადრევად გამოეთიშა. ფინალურ მატჩში ბრაზილიელებმა, ამარილდოს, ზიტოს და ვავას გოლებით ჩეხოსლოვაკიელებს 3:1 მოუგეს

1966 წლის მსოფლიო თასის მზადებაში გავლენა პოლიტიკურმა გარემოებამ იქონია. ყველა წამყვანი ბრაზილიური გუნდის ხელმძღვანელობას სურდა თავისი ფეხბურთელები ქვეყნის უპრველეს გუნდში ეხილა და ამის გამო, მზადების ბოლო თვეს, ფეოლას განკარგულებაში ორმოცდაექვსემა ფეხბურთელმა მოიყარა თავი, ინგლისში კი მხოლოდ ოცდაორი მათგანი უნდა გამგზავრებულიყო. ყოველივე ამან განუწყვეტელი კამათი და ფსიქოლოგიური წნეხი გამოიწვია გუნდში, შედეგად კი ბრაზილიამ მსოფლიო ჩემპიონატზე ცუდი შედეგი აჩვენა და ჯგუფში ჩარჩა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ პელემ (რომელიც იმ დროს კარიერის ზენიტში იმყოფებოდა) ჯგუფურ ეტაპზე თითქმის ყველა საგოლე მომენტი გააფუჭა.

ბრაზილიამ მესამე მსოფლიო თასი, 1970 წელს, მექსიკაში გამართულ მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატზე მოიგო. ბრაზილიის ნაკრებმა მექსიკაში ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჩაიყვანა: კაპიტანი კარლოს ალბერტო, ჟაირზინიო, ტოსტაო, ჟერსონი, რიველინო, პელე და სხვები... ამ ფეხბურთელებმა ჟიულ რიმეს თასის

მესამედ დაუფლება შეძლეს. ბრაზილიის ნაკრებმა ფინალში იტალიას 4:1 მოუგო – შედეგად კი სამუდამოდ დაისაკუთრა ეს პრიზი, რომელიც ოქროს ქალღმერთ ნიკეს გამოსახავდა. მინდა თქვენი ყურადღება ერთ ფაქტს მივაპყრო!

1958 და 1970 წლების ფინალებში ბრაზილია აბსოლუტურად სხვადასხვა შემადგენლობით გახლდათ წარდგენილი, ხოლო ამ ორ, განსხვავებული ფორმაციის გუნდებში თამაშობდა პელე და ის საუკეთესო იყო...

დიდი ფეხბურთიდან პელეს და სხვა ვარსკვლავების წასვლის შემდეგ ბრაზილიამ ვერ შეძლო გამკლავებოდა ჰოლანდიელების ტოტალურ ფეხბურთს და 1974 წელს ტიტული ვერ დაიცვა. ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილზე გავიდნენ. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

1982 წელს, ესპანეთში გამართულ მუნდიალზე ბრაზილიელებმა ადვილად გაიარეს ჯგუფური ეტაპი, მაგრამ 3:2 დამარცხდნენ იტალასთან. იმ შეხვედრაში პაოლო როსიმ ჰეთ-თრიკი შეასრულა. სამშობლოში მთავარ დამნაშავედ ბრაზილიელთა მწვრთნელი ტელე სანატანა მიიჩნის, რომელმაც შემტევი ტაქტიკა აირჩია მაშინ, როცა ფრე სავსებით მისაღები შედეგი იყო მათთვის. 1982 წლის მუნდიალის მონაწილე ბრაზილიის ნაკრები დღესაც მიიჩნევა მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოვარდნილ ყველაზე საუკეთესო გუნდად, რომელშიც ისეთი ფეხბურთის ვირტუოზები თამაშობდნენ, როგორებიც: ზიკო, სოკრატესი, ფალკაო და სხვები იყვნენ...

1986 წელს ლამაზად მოთამაშე და შემტევი ფეხბურთის მოყვარული მწვრთნელი ტელე სანატანა და 1982 წლის მუნდიალის მონაწილე რამდენიმე ფეხბურთელი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე დაბ-



რუნდნენ. გუნდისთვის დიდ დანაკლისს წარმოადგენდა ზიკო, მან ჩემპიონატის დაწყებამდე ტრავმა მიიღო. განუწყვეტელმა შეკითხვებმა როდის ჩადგებოდა მწყობრში იგი, ძალიან ცუდი გავლენა იქონია მოთამაშეზე და ნაკრების ნევრებზეც. მეოთხედფინალში ბრაზილია საფრანგეთს შეხვდა. მეორე ტაიმის ბოლოს მოედანზე ზიკო შევიდა. ამ დროს ანგარიში 1:1 იყო, ბრაზილიელებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ზიკომ, ბრაზილიელი ქომაგების გმირმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. დაინიშნა დამატებითი დრო, თუმცა საქმე ბოლოს მაინც პენალტების სერიამდე მივიდა. მართალია აქ უკვე ზიკომ თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა, მაგრამ სამაგიეროდ გუნდის კაპიტანმა სოკრატესმა მეტად საჭირო პენალტი გააფუჭა, ფრანგების მხრიდან კი პენალტი, ასევე გუნდის კაპიტანმა მიშელ პლატინიმ ვერ გამოიყენა. საბოლოოდ თერთმეტმეტრიანების სერია ფრანგების სასარგებლოდ 4:3 დასრულდა.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელებს სებასტიანო ლაზარონი წვრთნიდა. ბრაზილიის





ნაკრები მერვედფინალში გავიდა, სადაც არგენტინის ნაკრებთან შეხვედრაში, კლაუდიო კანიჯას გატანილმა ერთად ერთმა გოლმა ისინი ტურნირიდან გამოთიშა.

ბრაზილიელებმა ოცდაოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ვერ მოახერხეს, თუმცა დადგა 1994 წელიც და რომარიომ, ბებეტომ, დუნგამ, ტაფარელმა, ჟორჟინიომ და სხვებმა ბრაზილიის ნაკრები კვლავ დიდების კვარცხლბეკზე აიყვანეს. გუნდმა დაცვაზე ორიენტირებული თამაში აჩვენა, თუმცა თავდასხმაში, რომარიოსა და ბებეტოს შესანიშნავი ტანდემის წყალობით ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგო. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებმა მეტოქეთა კარი თერთმეტჯერ დალაშქრეს, ხოლო საკუთარ კარში ოდენ სამი გოლი მიიღეს.

შემდეგ იყო 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიის ნაკრები კვლავ ფინალში გავიდა, სადაც მასპინძლებთან, საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდა 0:3. გავიდა კიდევ ოთხი წელი და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებმა, რონალდოს, რივალდოს, რონალდინიოს, კაფუს, კარლოსის, ლუსიოს და სხვების შესანიშნავი ასპარეზობის შედეგად კვლავ ფინალს უწია და იმ მომენტამდე მუნდიალების ისტორიაში არშემდგარი დაპირისპირებაც როგორც იქნა შედგა, ფინალში სანუკვარი თასის დაუფლების მიზნით ერთმანეთს ბრაზილია და გერმანია შეებრძოლნენ, სადაც რონალდოს გატანილი გოლებით ბრაზილიამ მეტოქეს 2:0 სძლია. აღსანიშნავია, რომ, 1994 და 2002 წლების ფორმაციის ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელები, დღევანდელ გუნდს ავარჯიშებენ. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომელმაც მშობლიურ ნაკრებს მესხუთედ

მოაგებინა მსოფლიო ჩემპიონატი, ბრაზილიის მთავარ გუნდს შთამბეჭდავად და რაც მთავარია შედეგიანად ათამაშებს, რაშიც მას დიდ დახმარებას 1994 წლის ტრიუმფის შემოქმედი კარლოს ალბერტო პარეირა უწევს.

2005 წლის 29 ივნისს, გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში, კონფედერაციის თასის გადამწყვეტ მატჩში ბრაზილიამ

4:1 დაამარცხა თავისი დაუძინებელი მეტოქე არგენტინა და მეორედ დაეუფლა ფიფას კონფედერაციის თასს. მათ 2004 წლის კოპა ამერიკის თასის ფინალში, პენალტების სერიაშიც დაამარცხეს არგენტინელები. ბრაზილიელთა მწვრთნელმა პარეირამ შედეგიანად და ლამაზად მოთამაშე გუნდს მეტსახელად „ჯადოსნური ნაკრები“ უწოდა, გუნდში ხომ ძირითადი შემადგენლობის ოთხი შემტევი მტაცებელი: კაკა, რონალდინიო, რონალდო და ადრიანო იყვნენ. მაგრამ მზადების პროცესში გუნდში თავი იჩინა პრობლემებმა. ორთვიანი ტრავმის მოშუშების შემდეგ წონაში მოიმატა რონალდომ. მიუხედავად ამისა, 2006 წლის მსოფლიო პირველობაზე ბრაზილიელებმა პირველი თამაშში ხორვატია და ავსტრალია დაამარცხეს, თუმცა გუნდი მაინც ვერ აჩვენებდა იმ თამაშს, რასაც მისგან ელოდნენ გულშემატკივრები. მესამე თამაშში მწვრთნელმა სათადარიგო შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი გამოიყვანა, მათ შორის რობინიო და სისინიო. ცვლილებებმა გაამართლა და ბრაზილიის ნაკრებმა დიდი ანგარიშით 4:1 სძლია იაპონიას. მერვედფინალში გუნდმა 3:0 მოუგო განას და იმ მატჩში გოლი რონალდომაც გაიტანა. ის თხუთმეტი გატანილი გოლით მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში ბრაზილიამ მეოთხედფინალში საფრანგეთთან 0:1 წააგო და გამოეთიშა ტურნირს.

ამის შემდეგ გუნდს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს მედიისა და გულშემატკივრების მხრიდან. მედია ატრიალებდა იმ კადრებს, სადაც ჩანს რომ ტიერი ანრის შეტევის დროს რობერტო კარლოსი ბუცს იკრავდა, ხოლო ფეხბურთის მეფე პელე, პარეირასა და რონალდინიოს სდებდა ბრალს.

2006 წლის 24 ივლისს, ნაკრების მთავარ მესაჭედ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი კარლოს დუნგა დაინიშნა. მისი თავკაცობით პირველი მატჩი შედგა ოსლოში ნორვეგიასთან, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა, ხოლო მეორე მატჩი გაიმართა ლონდონში, „ემირიეთის სთედიუმზე“, სადაც ბრაზილიამ 3:0 დაამარცხა დაუძინებელი მტერი არგენტინა. ამ გამარჯვებას მოჰყვა გამარჯვება უელსთან, კუვეიტთან და ეკვადორთან. დუნგამ მწვრთნელის რანგში პირველი მარცხი იგემა 2007 წლის 6 თებერვალს პორტუგალიის წინააღმდეგ, რომელსაც სამხრეთამერიკელთა ყოფილი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი ედგა სათავეში. 2007 წლის 24 და 28 მარტს დუნგას პირველი მარცხი გააქარწყლა ამხნაგურ მატჩებში ჩილესთან 4:0 და განასთან 1:0 გამარჯვებებმა.

პარეირასაგან განსხვავებით დუნგა არ გამოარჩევდა ფეხბურთელებს და ყველას ერთმანეთის თანასწორად მიიჩნევდა. მას არ მოუძებნია ფეხბურთელები ისეთ დიდ გუნდებში როგორცაა „მილანი“, „რეალი“ „ბარსელონა“ და სხვები... ის ეძებდა ინდივიდუალურად ძლიერ ტალანტებს მთელი ევროპის მასშტაბით. ძველი ვარსკვლავური შემადგენლობიდან ნაკრებში მხოლოდ რონალდინიომ და კაკამ დაიმკვიდრეს ადგილი, ხოლო რონალდო თავდასხმაში

გაგრძელება გვ.18 ➡



ინტერვიუ

ხუან სებასტიან ვერონი: „მარადონასნაირი ფეხბურთელი არასდროს დაიბადება“

არგენტინელ ხუან სებასტიან ვერონს მეტად ნაყოფიერი საფეხბურთო ბიოგრაფია აქვს. „ესტუდიანტისის“, „ლაციოს“, „პარმას“, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ინტერის“ შემადგენლობაში მას ინგლისის, იტალიის, არგენტინის ჩემპიონატები, ლიბერთადორესის და უეფას თასები, ევროპის სუპერთასი მოუგია, ხოლო არგენტინის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ჩატარებულ 73 მატჩში 9 გოლი გაიტანა. ვერონი ორ-ორჯერ არგენტინის და სამხრეთ ამერიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.



- მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტად რომელ გუნდში მოახერხეთ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენა?

- ყველაზე უფრო სტაბილურად რომის „ლაციოში“ ვთამაშობდი. ორი წლის განმავლობაში სტაბილურად, ჩავარდნის გარეშე ვასპარეზობდი. სხვა კლუბებში გამოსვლითაც არ ვარ უკმაყოფილო, მაგრამ სეზონში რამდენიმე თამაშს „ვაფლავებდი“ ხოლმე.

- 2001 წელს გულშემატიკვართა დიდი ნაწილი ზინედინ ზიდანს და თქვენ პლანეტის საუკეთესო ნახევარმცველებად გთვლიდნენ. როგორ გგონიათ, „ზიზუს“ ტოლი ფეხბურთელი ხართ?

- არა, ზიდანთან ჩემი შედარება უადგილოა. ჩვენ ასპარეზობის განსხვავებული სტილი გვაქვს. იტალიელებს უყვართ ისეთი ყაიდის ფეხბურთელები, როგორებიც ტოტი, დელ პიერო, ზიდანი არიან. მათ „ფანტაზისტას“ უწოდებენ. „ტიფოზებისთვის“ მეც მათ რანგში გავდიოდი, მაგრამ ზიდანისა და ჩემი შედარება არასწორია.

- თანაგუნდელთაგან რთული დამოკიდებულება რომელთან გქონდათ?

- „ესტუდიანტისის“ მცველ ნესტორ კრავიოტოსთან. სერიოზული უთანხმოება მქონდა რობერტო მანჩინისთან.

- მანჩინის რთული ხასიათი აქვს. ამას კარლოს ტივესიც დაადასტურებს...

- მანჩინის მაინც ჩემ მეგობრად ვთვლი. რობერტოსთან ერთად „სამპდორიასა“ და „ლაციოში“ ვთამაშობდი, მოგვიანებით იგი „ინტერში“ იყო ჩემი მწვრთნელი. ჩვენი

წალაპარაკება კი 1996-97 წლების სეზონის მატჩის მსვლელობისას მოხდა. „პიაჩენცასთან“ შეხვედრის დროს მეტოქის საჯარიმოში ცუდად ჩავანოდე. მანჩინიმ მომაძახა: „უფრო მაღლა გამოუშვი ბურთი ბიჭო“. უფროს კოლეგას უხამსად ვუპასუხე, რამაც რობერტო გააცეცხლა და გასახდელში მან ჩემ საცემად, ლანძღვა-გინებით გამოიწია. საბედნიეროდ, თანაგუნდელებმა მანჩინი დროულად შეაჩერეს.

- თქვენ რა რეაქცია გქონდათ?

- მივხვდი, თავიდან ცუდად რომ მოვიქეცი და რობერტოს პატიება ვთხოვე. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც „ინტერმა“ ერთ-ერთი მატჩი 1:2 დათმო, რობერტომ ასპარეზობის დასრულების შემდეგ ცალკე გამიხმო, გულში ჩამიკრა და მითხრა, თუკი საფეხბურთო თვისებებს სრულად გამოავლენ, ნინ ვერავინ დაგვიდგებაო. მანჩინიმ იმ მომენტში დამიჭირა მხარი, როდესაც ყველაზე მეტად მიჭირდა.

- სერ ალექს ფერგიუსონთან ურთიერთობა არ გიჭირდათ?

- არა, თუმცა შოტლანდიელი მეტად თავისებური ადამიანია. იგი ერთ ფეხბურთელს ამოიჩემებდა ხოლმე და სხვა მოთამაშეებს ყურადღებას აღარ აქცევდა. რუუდ ვან ნისტელროიმ სამი სეზონის განმავლობაში სამოც გოლზე მეტი გაიტანა, ფერგიუსონი კი ჰოლანდიელ ბომბარდირს იოლად

შეელია.

- სერ ალექსთან თუ გინახუბიათ?

- არა. თავიდან იგი ახალწვეულს პატარა ბავშვივით ეპყრობოდა, ყურადღებას არ აკლებდა, შემდეგ კი ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებოდა, რომ ფერგიუსონს აღარ სჭირდები. ფსიქოლოგიურად ეს ძნელი გადასატანია.

- ყველაზე მეტად რომელ მწვრთნელს ემადლიერებით?

- კონკრეტულად ერთს ვერ გამოვარჩევ, ასეთები საკმარისად იყვნენ.

- მაშინ ის სპეციალისტი დაასახელეთ, რომელთანაც მუშაობა არ გსიამოვნებდათ...

- ვერ ვიტანდი ვუიადინ ბოშკოვს. მან „სამპდორია“ ლუის სესარ მენოტის შემდეგ ჩაიბარა. სერბი დამრიგებელი არ მენდობოდა, მითვალთვალებდა, მამონმებდა, სად და რამდენი ხნით ვიყავი.

- საამისოდ დამსმენებს იყენებდა?

- არა, მაგრამ როდესაც სასტუმროს ჰოლში ვიჯექი, სამოცდაშვიდი წლის მოხუცი ყვავილებს უკან იმალებოდა და ჩემ საუბარს უსმენდა. ეს სასაცილო იყო.

- გამოტყვედით – დისციპლინას არ არღვევდით?

- ერთხელ მე და კრისტიან კარამბე მთელი ღამით ნავედით და ბაზაზე დილის საათებში მივბრუნდით.

- დათვერით?

- არა. ალკოჰოლი რომ მიგველო, მინდორზე ველარ გავიდოდით. იმ დღეს კარგად ვითამაშე, გოლიც კი გავიტანე. იმხანად „სამპდორიას“ სვენ გორან ერიქსონი წვრთნიდა. მან ჩვენი საქციელი როგორღაც შეიტყო და დაგვაჯარიმა.

- ფეხბურთმა ბევრი მეგობარი შეგქინათ?

- კრესპო, ორტეგა, პიოხო ლოპესი, კილი გონსალესი და „ესტუდიანტისის“ უკლებლივ ყველა წევრი.

- მტერი?

- იმედია, მათი რიცხვი დიდი არაა...

- სამხრეთ ამერიკის მუნდიალის შემდეგ დიეგო მარადონას არცთუ კარგად დამორდით...



მსოფლიოს ბაიბა საფეხბურთო ჩემპიონატი

A ჯგუფი	B ჯგუფი	C ჯგუფი	D ჯგუფი
ბრაზილია სორვაბია მექსიკა კამბოჯი	ესპანია ჰოლანდია ჩილე ავსტრალია	კოლუმბია საბერძნეთი კოტ დ'ივუარი იტალია	ურუგვაი კოსტა რიკა ინგლისი იტალია
№-1. 13.06.2014. სან პაულუ 00:00	A ბრაზილია – სორვაბია	№-35. 24.06.2014. რამიფი 00:00	A სორვაბია – მექსიკა
№-2. 13.06.2014. ნატალი 20:00	A მექსიკა – კამბოჯი	№-36. 24.06.2014. ბრაზილია 00:00	A კამბოჯი – ბრაზილია
№-3. 13.06.2014. სალვადორი 23:00	B ესპანეთი – ჰოლანდია	№-37. 24.06.2014. ბელო ორიზონტი 20:00	D კოსტა რიკა – ინგლისი
№-4. 14.06.2014. კუიბა 02:00	B ჩილე – ავსტრალია	№-38. 24.06.2014. ნატალი 20:00	D იტალია – ურუგვაი
№-5. 14.06.2014. ბელო ორიზონტი 20:00	C კოლუმბია – საბერძნეთი	№-39. 25.06.2014. კუიბა 00:00	C იტალია – კოლუმბია
№-6. 14.06.2014. ფორტალეზა 23:00	D ურუგვაი – კოსტა რიკა	№-40. 25.06.2014. ფორტალეზა 00:00	C საბერძნეთი – კოტ დ'ივუარი
№-7. 15.06.2014. მანსუნი 02:00	D ინგლისი – იტალია	№-41. 25.06.2014. კორტუ ალემბრი 20:00	F ნიგერია – არგენტინა
№-8. 15.06.2014. რამიფი 05:00	C კოტ დ'ივუარი – ესპანეთი	№-42. 25.06.2014. სალვადორი 20:00	F ბრაზილია – იტალია
№-9. 15.06.2014. ბრაზილია 20:00	E სპანეთი – არგენტინა	№-43. 26.06.2014. მანსუნი 00:00	E კოლუმბია – სპანეთი
№-10. 15.06.2014. კორტუ ალემბრი 23:00	E საფრანგეთი – კოლუმბია	№-44. 26.06.2014. რიო დე ჟანეირო 00:00	E კოლუმბია – საფრანგეთი
№-11. 16.06.2014. რიო დე ჟანეირო 02:00	F არგენტინა – ბრაზილია	№-45. 26.06.2014. ბრაზილია 20:00	G კოლუმბია – ბრაზილია
№-12. 16.06.2014. სალვადორი 20:00	G ბრაზილია – კოლუმბია	№-46. 26.06.2014. რამიფი 20:00	G კოტ დ'ივუარი – ბრაზილია
№-13. 16.06.2014. კურიტიბა 23:00	F იტალია – ესპანეთი	№-47. 27.06.2014. სან პაულუ 00:00	H საფრ. კორეა – ბრაზილია
№-14. 17.06.2014. ნატალი 02:00	G ბრაზილია – ესპანეთი	№-48. 27.06.2014. კურიტიბა 00:00	H კოლუმბია – რუსეთი
№-15. 17.06.2014. ბელო ორიზონტი 20:00	H ბრაზილია – ესპანეთი	1/8 ფინალური მატჩები	
№-16. 17.06.2014. ფორტალეზა 23:00	A ბრაზილია – მექსიკა	№-49. 28.06.2014. ბელო ორიზონტი 20:00	_____ (1A – 2B) _____
№-17. 18.06.2014. კუიბა 02:00	H რუსეთი – საფრ. კორეა	№-50. 29.06.2014. რიო დე ჟანეირო 00:00	_____ (1C – 2D) _____
№-18. 18.06.2014. კორტუ ალემბრი 20:00	B არგენტინა – კოლუმბია	№-51. 29.06.2014. ფორტალეზა 20:00	_____ (1B – 2A) _____

№-19.	18.06.2014.	რიო დე ჟანეირო 23:00	B ესპანეთი – ჩილე	№-19.	30.06.2014.	რეიმიო 00:00	_____ (1D – 2C)
№-20.	19.06.2014.	მანაუსი 02:00	A კამბოჯი – სურინამი	№-53.	30.06.2014.	ბრაზილია 20:00	_____ (1E – 2F)
№-21.	19.06.2013.	ბრაზილია 20:00	C კოლუმბია – კოტ დივუარი	№-54.	01.07.2014.	პორტუ ალგარი	_____ (1G – 2H)
№-22.	19.06.2013.	სან პაულუ 23:00	D ურუგვაი – ინგლისი	№-55.	02.07.2014.	სან პაულუ 20:00	_____ (1F – 2E)
№-23.	20.06.2014.	ნატალი 02:00	C იაკონია – საბერძნეთი	№-56.	03.07.2014.	სალვადორი 00:00	_____ (1H – 2G)
№-24.	20.06.2014.	რეიმიო 20:00	D იტალია – კოსტა რიკა	1/4 ფინალური მატჩები			
№-25.	20.06.2014.	სალვადორი 23:00	E შვეიცარია – საფრანგეთი	№-57.	04.07.2014.	რიო დე ჟანეირო	გამარჯვებული № 53 გამარჯვებული № 54
№-26.	21.06.2014.	კურიტიბა 02:00	E ჰონდურასი – ეკვადორი	№-58.	05.07.2014.	ფორტალეზა 00:00	გამარჯვებული № 49 გამარჯვებული № 50
№-27.	21.06.2014.	ბელო ორიზონტა 20:00	F არგენტინა – ირანი	№-59.	05.07.2014.	ბრაზილია 20:00	გამარჯვებული № 55 გამარჯვებული № 56
№-28.	21.06.2014.	ფორტალეზა 23:00	G გერმანია – განა	№-60.	06.07.2014.	სალვადორი 00:00	გამარჯვებული № 51 გამარჯვებული № 52
№-29.	22.06.2014.	კუიბა 02:00	F ნიგერია – ბოსნია	ნახევარფინალური მატჩები			
№-30.	22.06.2013.	რიო დე ჟანეირო 20:00	H ბელგია – რუსეთი	№-61.	09.07.2014.	ბელო ორიზონტა	გამარჯვებული № 57 გამარჯვებული № 58
№-31.	22.06.2014.	პორტუ ალგარი 23:00	H სამხ. კორეა – ალჟირი	№-62.	10.07.2017.	სან პაულუ 00:00	გამარჯვებული № 59 გამარჯვებული № 60
№-32.	23.06.2014.	მანაუსი 02:00	G აშშ – კოლუმბია	მატჩი გი-3 ადგილისათვის			
№-33.	23.06.2014.	კურიტიბა 20:00	B ავსტრალია – ესპანეთი	№-63.	13.07.2014.	ბრაზილია 00:00	დამარცხებული № 61 დამარცხებული № 62
№-34.	23.06.2014.	სან პაულუ 20:00	B ჰოლანდია – ჩილე	ფინალი			
E ჯგუფი			F ჯგუფი	№-64.	23:00		გამარჯვებული № 61 გამარჯვებული № 62
შვეიცარია			არგენტინა	H ჯგუფი			
ეკვადორი			ბოსნია	ბელგია			
საფრანგეთი			ირანი	ალჟირი			
ჰონდურასი			ნიგერია	რუსეთი			
				სამხ.კორეა			

მედიისა და სპორტის

გერმანიის ნაკრების ქმედების თვითმხილველი

მაშ ასე, კარს მოგვადგა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატი, რომელიც ბრაზილიაში გაიმართება – ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი სიგიჟემდე უყვართ!

დიდი ალბათობით, 2010 წლის მუნდიალს წლებადელი ტურნირი გადაუჯოკრავს. თავისებურად ოთხი წლისწინანდელი მსოფლიოც კარგი იყო, მაგრამ ვუვუზულებმა ხომ „ტვინი წაიღეს“ და თან შეჯიბრიც სრულიად არასაფეხბურთო ქვეყანაში ჩატარდა, წელს კი ასეთ რამეს ნამდვილად ვერ ვიტყვით!

პირადად მე, თერთმეტი წელიწადია გერმანიის ნაკრების გულშემატკივარი ვარ და რა თქმა უნდა, მინდა, რომ ესპანეთმა ან იტალიამ კი არა, ჩემმა საყვარელმა ნაკრებმა იმარჯვოს მსოფლიო ჩემპიონატზე! ცოტა ხნის წინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, რომელიც შთამბეჭდავად კი გამოიყურება, თუმცა ცოტა უკმაყოფილების გრძობა მაინც დამეუფლა... ჩემთვის ეს გაუგებარია რატომ არ უხმო მან მარკ-ანდრე

ტერ შტეგენს, რომელიც ბრწყინვალედ ასპარეზობს და აგერ, „ბარსელონამაც“ შეიძინა. გუნდში არ არის მანუელ ნოიერის ღირსეული შემცვლელი რენე ადლერი და შტეფან კისლინგი, რომელიც უკვე კარგა ხანია ამტკიცებს, რომ ნაკრებში თამაშის ღირსია, მაგრამ ლიოვი არაფრის დიდებით არ იძახებს!

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის ფაქტორებს, ისინი ორ კატეგორიად შეგვიძლია გამოვყოთ... ევროპიდან: გერმანია, ესპანეთი, იტალია და ჰოლანდია. სამხრეთამერიკიდან: არგენტინა და მასპინძელი ბრაზილია, თუმცა ლუიშ ფელიპე სკოლარის მიერ დასახელებულმა გაფართოებულმა სიამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საფეხბურთო წრეებში... „აჯანყებულ გულშემატკივრებს“ მეც ვუვრდები იმ საკითხში, რომ დიეგო ალვეში, კაკა და რონალდინიო ნამდვილად იმსახურებდნენ მუნდიალზე გამგზავრებას! „ვალენსიას“ გოლკიპერმა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა, ხოლო იმ ორ ლეგენდაზე კომენტარიც კი ზედმეტია



– ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უდიდესი გამოცდილება უმაგრებთ ზურგს. ტრადიციისამებრ იტალია „გრანდებიდან“ ყველაზე ამოუცნობ გუნდად რჩება, რომლისაგანაც ცუდ თამაშს ელი ან პირიქით ძალიან კარგს. ესპანეთზე კომენტარიც ზედმეტია. რა თქმა უნდა იმისი შანსი არის, რომ მათ ზედიზედ მეორედ მოიგონ მსოფლიო ჩემპიონატი, თუმცა ამის გაკეთება ძალზე რთული იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი. ჰოლანდიელებსაც კარგი შემადგენლობა ჰყავთ, ოლონდ ეგ არის, მათ ბევრი მაქსიმუმ ნახევარფინალს უწინასწარმეტყველებს. აი,

ინგლისი და საფრანგეთი კვლავ ქვედა ეშელონებში იმყოფებიან. ჩემს საყვარელ გერმანიას ტალანტებით ალსავსე ნაკრები ჰყავს, თან ისინი ყოველთვის ფაქტორიტა სიაში მოიხსენიებიან, საპრიზო ადგილებზეც გადიან, მაგრამ პირველი ადგილი მათთვის უკვე მრავალი წელია სანატრელი გახდა. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ამის თქმა მარტივი არ არის და მასზე საუბარიც შორს წაგვიყვანს... დიდ შანსია, რომ ეს მუნდიალიც თუ ვერ მოიგო გერმანიის ნაკრებმა, ლიოვი მთავარ მწვრთნელობას გამოემშვიდობოს.

გიორგი ფულარინი

პიკრო სჯისჯი

„მშვენიერი კარტიერის ფირმის კალამია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ის მხოლოდ და მხოლოდ საწერი კალამია, რომელშიც შავი მელანი ასხია“. გალიანიმ შემდეგი რამ მითხრა: დარწმუნებულნი იყავი ამ კალმით შენ „იუვენტუსთან“ არ გააფორმებ კონტრაქტს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ენამოსწრებულად იხუმრა, მაგრამ გამოსაშვადობებელი საჩუქარი და შეხვედრა სულ სხვაგვარად წარმოედგინა. წამის მესაღეში ჩემი კარიერის მილანური ათი წელი გაუფერულდა, თუმცა საპასუხოდ მე მას

მაინც გავუღიე. მილანელთა ხელმძღვანელობის მხრიდან ჩემი „იუვენტუსში“ გაშვება აბსურდული გადაწყვეტილება იყო, რადგან შემქმნელი კლუბისათვის სარგებლის მოტანა. საკუთარი კარიერის განმავლობაში არა ერთ სპეციალისტთან მიმუშავია, მაგრამ კონტემ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ის „იუვენტუსში“ მოვიდა და მითხრა: „ჩვენ ერთად მოვედით კლანეტა „იუვენტუსზე“, შემდეგ კლუბის წევრები შეგვკრიბა და ასე მოგვმართა: „ზედიზედ ორჯერ მემკვიდრეობაზე გახვედით

და ამისათვის მე აქ არ მოვსულვარ, ეს უნდა დასრულდეს, დროა შევაჩეროთ ჩვენი არსებობა სანაგვეში!“. როდესაც პირველი ტაიმის შემდეგ ანტონიო გასახდელში შემოდის, ხელში რაც მოხდება ის ვერის, ხშირად ეს წყლით სავსე ბოთლია. ის მხეცს ემსგავსება ხოლმე, რომელსაც არასდროს მოსწონს კლუბის მიერ ნა-

ჩვენები თამაში. ამასთან ერთად წინათგრძობის საოცარი თვისება გააჩნია, იცის თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომდევნო 45 წუთში.



საფანჯარის ნიჟარა

ჩქარა უნდა... ზრუნა

ტარიელ კინწურაშვილი

2011 წლის ერთ მშვენიერ დღეს, – კერძოდ 13 ივლისს, – ფეხბურთის დიდი მოყვარული, მშობლიური ნაკრებისა და “ბოტაფოგოს” მრავლისმნახველი ქომაგი, სამოცდაჩვიდმეტი წლის ტიაგო ანტონიო, – კორკოვადოს მთის წვერზე მაცხოვრის უზარმაზარი ქანდაკების ქვეშ იდგა და უანაზარის ყურეს, კოპაკაბანას პლაჟს, მთა პან-დი-ასუკარს და, ერთი სიტყვით, რიო-დე-ჟანეიროს თვალწარმტაც საერთო ხედს გაჰყურებდა. მას თან ახლდა ინგლისიდან ჩასული, ახლად დაარსებული ჟურნალის “ფეხბურთის სამშობლოს”, პორტუგალიური ენის მცოდნე ყმანვილი ჟურნალისტი. ის საინტერესო საფეხბურთო მასალის მოსაგროვებლად გამოეგზავნა ჟურნალის რედაქციას იმ ქვეყანაში, რომლის ეროვნულმა ნაკრებმაც ყველაზე მეტჯერ – ხუთჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და მომავალ მსოფლიოს მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატსაც ეს ქვეყანა გაუწევდა მასპინძლობას.

ლოურენს ბატჩერმა დიქტოფონი ჩართო და კითხვით მიმართა მოხუცს: – თქვენ სტაჟიანი გულშემატკივარი ბრძანდებით. სტადიონზე არა ერთი ძლიერი ფეხბურთელის თამაში გიხილავთ, ამასთანავე რამდენიმე საფეხბურთო წიგნის ავტორიც ხართ, – ამიტომ წინასწარ ვგრძნობ, რომ თქვენთან საუბარი და თქვენი აზრის მოსმენა ძალზე საინტერესო იქნება. გთხოვთ, გაიხსენოთ ის ყველაზე დიდი იმედგაცრუების ამბავი, რაც ფეხბურთისგან განგიცდიათ და დაგამახსოვრდათ.

– ასეთი ბევრი იყო... რომელი ერთი დაგისახელით? აი, მაგალითად, ერთი შეხედვით, თითქოს არც დიდ იმედგაცრუებასთან და არც დიდ სიხარულთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს იმ ამბავს, რომლის თვითმხილველიც გახლავართ, მაგრამ ძალიან გამახარა: 1953 წლის 9 ივლისი იყო... სწორედ იმ დღეს ცხრამეტი წელი შემისრულდა. ჩემს თანატოლ-მეგობრებთან ერთად “ბოტაფოგოს” სტადიონისკენ გავენიე, რათა ჩემი რჩეული გუნდის ფეხბურთელების ვარჯიშს დავსწრებოდი. ფეხბურთელთა წვრთნას ვუტყვირეთ და, როდესაც ეს პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, “ბოტაფოგოს” მწვრთნელმა ქვეყნის ნაკრების სახელგანთქმულ მარცხენა მცველს ნილტონ სანტოსს

ერთი ყმანვილის გამოცდა დაავალა. მინდორზე კოჭლობით გამოვიდა ჭაბუკი, გარშემო ერთი ვაი-უშველელი ატყდა, იცინოდა ყველა, მათ შორის მეც. ცოტა ხანში კოჭლმა პასი მიიღო. ნილტონი მისკენ გაეშურა ბურთის წასართმევად და მიუახლოვდა თუ არა, კოჭლმა ბურთი მსწრაფლ ფეხებში გაუძვრინა. ნილტონმა გამოადევნება სცადა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ფეხბურთელი ძირს გაიშხლართა, – სტადიონზე საყოველთაო ხარხარს მეც შევუერთდი. მაშინ რაღაც განსაკუთრებულად დიდი სიხარულის გრძნობა დამეუფლა. აი, ასეთი საჩუქარი “მომიძღვნა” გარინჩამ დაბადების დღეზე და მომავალშიც ბევრჯერ დამასაჩუქრა თავისი საუცხოო თამაშით.

ტიაგომ ღრმად ჩაისუნთქა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და საუბარი კვლავ ახალი შემართებით განაგრძო...

– გავიხსენებ ერთ შემთხვევასაც: შვედეთში გასამართი მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის წინ, ამხანაგურ შეხვედრაში, ბრაზილიის ნაკრები “ფიორენტინას” შეხვდა. ამ თამაშსაც სტადიონიდან ვუყურებდი. მატჩის მიმდინარეობის ერთ-ერთ მომენტში გარინჩამ “ფიორენტინას” მთელი დაცვა მოატყუა, მიაყოლა მეკარეც და ბურთით კარის ხაზზე გაჩერდა. ტრიბუნებიდან ხალხი ფეხზე წამოიჭრა. გულშემატკივრები გაოცებულები შესცქეროდნენ მას. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე, ბრაზილიელი მოწინააღმდეგის ერთ-ერთ მცველს უცდიდა, რომელიც მეკარის დასახმარებლად მირობდა. გარინჩა მოთმინებით უცდიდა, ვიდრე მიუახლოვდებოდა, მერე უეცარი მანევრით მოატყუა და ბურთიანად შევიდა “ფიორენტინას” კარში. გარინჩას ფინტზე წამოგებულმა იტალიელმა კი ორიენტაცია დაკარგა და თავით კარის ძელს შეასკდა. ყველას სიცილი აუტყდა, მათ შორის “ფიორენტინას” მოთამაშეებსაც. ეს იყო მართლაც “ღვთაებრივი კომედია”, ოღონდ ამჯერად დიადი იტალიელი პოეტის დანტე ალიგიერისეული არა. ის თამაში ბრაზილიელებმა 4:0 მოიგეს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაიმარჯვეს.

შოკლედ, ბრაზილიის ნაკრებისა და “ბოტაფოგოს” თითოეული გამარჯვება ყოველთვის დიდ სიხარულს მგვრის, მაგრამ იმედგაცრუებაც მქონია. ამგვარი ამბებიდან უთუოდ გამოვარჩევი ერთს, რის გამოც კვირის



განმავლობაში ვტიროდი. მამამ წამიყვანა მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩზე დასასწრებად. მაშინ თექვსმეტი წლის გახლდით. “მარაკანა” გადაჭედული იყო – ურუგვაელებს ვხვდებოდით. მთელ ქვეყანას, მათ შორის მამასაც და მეც, გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა...

ტიაგო ანტონიომ უცებ თხრობა შეწყვიტა. მოხუცმა და ახალგაზრდა ინგლისელმა ერთმანეთს გადახედეს. ინგლისელი გაოგნებული ჩანდა.

– ეს რას ნიშნავს? ძლივს წაილულულა ლოურენსმა.

– დიახ, ეხლა ბრაზილიაში დრო გაჩერებულია, – გაჩერებულია მინიმუმ სამი წლით, – უპასუხა მოხუცმა.

ინგლისელის გაოცების მიზეზი რიო-დე-ჟანეიროს ცაზე გამოსახული საათი შეიქმნა, რომელიც სამი ფერით იყო განწყობილი. ფერთა პალიტრას: ყვითელი, მწვანე და ლურჯი ფერები შეადგენდა. საათთა რეალურთან შესაბამის დრო იყო დაფიქსირებული, – ექვსს ეკლდა ოცდახუთი წუთი... ჩვეულებისამებრ, პატარა ისარი ხუთსა და ექვსს შუა გაჩერდა, ხოლო დიდი ისარი შვიდთან დაფიქსირდა. უცებ საათის ციფერბლატზე 7-ის მაგივრად აღიბეჭდა ლათინური ასო – B, 8-ის მაგივრად გამოიხატა ასო – R, 9-ის მაგივრად ასო – A, 10-ის ნაცვლად ასო – S, 11-ის ნაცვლად ასო – I და 12-ის ნაცვლად ასო – L. ციფრები და ასოები თანაბარი რაოდენობისა და ერთმანეთთან ურთიერთპროპორციული იყო. საათი ასეთ დროს გვიჩვენებდა – ექვსს ეკლდა ბრაზილია...

– დიახ, ექვსს უკლია ოცდახუთი წუთი ანუ ექვსს უკლია ბრაზილია!.. იმედია, მოვესწრები, იმედია ცოცხალი ვიქნები ექვს საათზე, – ეს სიტყვები აღმოხდა მოხუცს.



კანტაკადაკოსი

← მეთერთმევე გვერდიდან

მეტსახელები

ეპიპირება

ლიუმ ფაბიანომ ჩაანაცვლა.

ბრაზილიამ მონაწილეობა მიიღო 2007 წელს ვენესუელაში ჩატარებულ სამხრეთ ამერიკის (კოპა ამერიკა) ჩემპიონატში და დუნგას განვრთნილმა ნაკრებმა ის ტურნირი მოიგო. ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ფინალში არგენტინის ნაკრებს სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს, ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ კი რობინიო იქნა დასახელებული.

დუნგას ხელმძღვანელობით 2009 წელს ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა კიდევ ერთი ტიტული, კონფედერაციის თასიც მოიგო, თუმცა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე, მეოთხედფინალურ მატჩში ბრაზილია ჰოლანდიასთან დამარცხდა და დუნგაც დაკავებულ თანამდებობას დაემშვიდობა.

ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს მრავალი მეტსახელი აქვს და ისინი მსოფლიოს სხვასხვა კუთხეში სხვადასხვანაირადაა ცნობილი. ყველაზე უფრო გავრცელებული სახელია „სელესაო“, რაც ნიშნავს რჩეულს. ბრაზილიელები ნებისმიერი ქვეყნის ან სპორტის გუნდს „სელესაოს“ უწოდებენ, ამიტომაც მათ ეროვნულ საფეხბურთო გუნდს „სელესაო ფუტბოლ დე ბრასილიერა“ ეწოდება. ბრაზილიური მედია აპოპულრულებს სიტყვა სელესაოს, თუმცა გუნდს ჰქვია სხვა სახელებიც: ერთ-ერთი მათგანია „კანარინიო“ ანუ პატარა იადონი. ეს სახელი 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს მულტიპლიკატორმა ფერნანდო პირეუჩეტიმ დაამკვიდრა. „ამარელინია“ პატარა ყვითლები, „ვერდე ამარელიო“ ყვითელ-მწვანეები, „პენტაკამპეონები“ ანუ ხუთგზის ჩემპიონი და „ესკუადრაო დე ოურო“ ოქროს ესკადრონი.

ბრაზილიის ნაკრების თავდაპირველი ფორმა იყო თეთრი მაისურა ლურჯი საყელოთი, მაგრამ 1950 წლის ფინალის შემდეგ გაუქმდა, რადგან მიიჩნიეს, რომ ძველი ფორმა ვერ გამოხატავდა ეროვნულობას. ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ნებართვით გაზეთმა კორეი დე მანამ ჩაატარა კონკურსი ახალ ფორმაზე. მოთხოვნა ასეთი იყო: ფორმა ბრაზილიის დროშის ოთხივე ფერში უნდა ყოფილიყო განწყობილი... გაიმარჯვა 19 წლის პელოტელი ბიჭის ალდირ გარსია შლეეს პროექტმა, რომელიც ითვალისწინებდა ყვითელ მაისურს მწვანე ზოლებით და ლურჯ შორტებს თეთრი ზოლებით. ახალი ფორმა პირველად გამოყენებულ იქნა 1954 წელს ჩილეს ნაკრების წინააღმდეგ. ბრაზილიის გასვლით ფორმად ლურჯი მაისურას ხმაზება მიღებული

ბრაზილიის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატზე									
ქვეყანა	წელი	რაუნდი	პოზიცია	თ	მ	ფ	ნ	ბტ	გშ
ურუგვაი	1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	პირველი რაუნდი	6	2	1	0	1	5	2
იტალია	1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	პირველი რაუნდი	14	1	0	0	1	1	3
საფრანგეთი	1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ნახევარფინალი	3	5	3	1	1	14	11
ბრაზილია	1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ფინალი	2	6	4	1	1	22	6
შვეიცარია	1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	მეოთხედფინალი	5	3	1	1	1	8	5
შვედეთი	1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ჩემპიონი	1	6	5	1	0	16	4
ჩილე	1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ჩემპიონი	1	6	5	1	0	14	5
ინგლისი	1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	პირველი რაუნდი	11	3	1	0	2	4	6
მექსიკა	1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ჩემპიონი	1	6	6	0	0	19	7
გერ	1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ნახევარფინალი	4	7	3	2	2	6	4
არგენტინა	1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ნახევარფინალი	3	7	4	3	0	10	3
ესპანეთი	1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	მეორე რაუნდი	5	5	4	0	1	15	6
მექსიკა	1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	მეოთხედფინალი	5	5	4	1	0	10	1
იტალია	1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	მეთექვსმეტედფინალი	9	4	3	0	1	4	2

ბრაზილიის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატზე									
ქმეყანა	წელი	რანული	პოზიცია	თ	მ	ფ	წ	ბტ	გშ
აშუ	1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ჩემპიონი	1	7	5	2	0	11	3
საფრანგეთი	1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ფინალი	2	7	4	1	2	14	10
სამხრეთ კორეა იაპონია	2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	ჩემპიონი	1	7	7	0	0	18	4
გერმანია	2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	მეოთხედფინალი	5	5	4	0	1	10	2
სამხრეთ აფრიკა	2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	მეოთხედფინალი	6	5	3	1	1	9	4
ბრაზილია	2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი	გავიდა	-	-	-	-	-	-	-
სულ		20/20	5 ტიტული	97	67	15	15	210	88

ინტერვიუ პელესთან

„ბაუჩუდან“ „კოსმოსში“

ფიფას ვერსიით მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი, ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, ანუ უბრალოდ პელე დღემდე სპორტულ იერს სრულად ინარჩუნებს, რის დამადასტურებლადაც ლეგენდარული მოთამაშის წონაც გამოდგება: თუ აქტიური საფეხბურთო კარიერის პერიოდში პელე 78 კილოგრამს იწონიდა, ამჟერად მისი წონა 80-81-ს არ სცილდება. რეპორტიორისა და ყოფილი ფორვარდის ქვემოთ მოყვანილმა დიალოგმა პელეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ლამის მთელი პერიოდი მოიცვა, - საუბარი კი, ცხადია, ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს ბავშვობის ასაკიდან დაიწყო.



- უკვე რამდენიმე ათეული წელია თქვენი ბიოგრაფები ცდილობენ გაარკვიონ იმ თიკუნის მნიშვნელობა, რომლითაც ისტორიაში შეხვედით. მაინც რას ნიშნავს სიტყვა „პელე“?

- ამ საკითხს ნათელს სრულად ვერც მე მოვფენ. მხოლოდ ის

შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ პელე შვიდი წლის ასაკში შემარქვეს. ტრეს კორსაოესში (სამი გული) დავიბადე, ხოლო მოგვიანებით ოჯახთან ერთად ბაურუში გადავსახლდი, რომელიც უფრო დიდი დასახლება გახლავთ, ვიდრე ჩემი ქვეყნად მოვლენის გეოგრაფიული ნერტილი. ამიტომ ბაურუში „სოფლებად“ გვთვლიდნენ და თანატოლებმა პელე შემარქვეს. ეს მეტსახელი თავიდან ძალიან არ მომეწონა, ვინც ასეთნაირად მომმართავდა, ჩემგან ერთ-ორ მუშტსაც იმსახურებდა სიფათში, მაგრამ მეტსახელს თანდათან მივეჩვიე და იმის ახსნაც მომ-

წყინდა, რომ ედსონი მერქვა და არა პელე.

- ბრაზილიაში პროფესიონალურ დონეზე მხოლოდ „სანტოსის“ ღირსებას იცავდით. რითაა განპირობებული თქვენი ამდაგვარი ერთგულება ამ კლუბისადმი?

- როდესაც თოთხმეტი წლისა ვიყავი, „სანტოსი“ მთელი შემადგენლობით ბაურუში ჩამოვიდა. მამაჩემი წარსულში ფეხბურთელი გახლდათ და კლუბის პრეზიდენტს შორიდან იცნობდა. სწორედ იგი ეახლა „სანტოსის“ თავკაცს და ჩემთან ერთად, კიდევ სამი ბაურუელი ყმანვილის გასინჯვა შესთავაზა. ორისამი ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ ავტორიტეტულმა გუნდმა ოთხივე ახალბედა დაგვიტოვა, ხოლო მომდევნო წელს, როდესაც თხუთმეტი წლისა შევსრულდი, „სანტოსმა“ ოფიციალური კონტრაქტიც გამიფორმა. თექვსმეტი წლისა უკვე ბრაზილიის ნაკრების წევრი გახლდით, ხოლო ჩვიდმეტისამ შვეციის მუნდიალზე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დავისაკუთრე. ამასწინათ, 1958 წლის ტურნირის ამსახველი კადრები კიდევ ერთხელ ვნახე, საკუთარი თავი მოტირალიც ვიხილე... თითქოს ეს ყველაფერი გუშინ იყო.

- პირველი მუნდიალი ყველაზე მეტად რითი დაგამახსოვრდათ?

გაგრძელება გვ.25 ➡

„პირველი პირველი“

ქართული ფეხბურთის განიჟანაჟი

ფოთის პორტის მშენებლობა და ინგლისში ფეხბურთის გამოგონება 1863 წლით თარიღდება და ალბათ სიმბოლურია, რომ თავის დროზე ფეხბურთი საქართველოში სწორედ სამეგრელოს ამ ლამაზი ზღვისპირა ქალაქის პორტიდან შემოვიდა.

საქართველოდან მარგანეცის გატანა 1879 წელს დაინყეს და სავარაუდოდ ქართულ ფეხბურთსაც მაშინ ჩაეყარა საფუძველი. ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს ოთარ გაგუას, ფოთში ფეხბურთით დაინტერესების სცენა ასე აქვს აღწერილი:



ბურთით ხელში – ოსკარ ზივერტი

„მოდი, ასეთი სცენა წარმოვიდგინოთ: ფოთის ნავსადგურში ინგლისური გემი დგას. დგომა კი დიდხანს მოუწევს – არავინ იცის, რამდენ დღეს გაგრძელდება მარგანეცის ჩატვირთვა. ჰოდა ეს მეზღაურებიც დროის მოსაკლავად უახლოეს მდელოზე ბურთს აგორებენ, რაც ადგილობრივი ბიჭების ყურადღებას იპყრობს. თამაში, რომელსაც ისინი თამაშობენ, ფოთელებს არასოდეს უნახავთ. თანდათან, ამ ცქერა-ყურებაში თამაშის არსიც გაიგეს: ორ ჯგუფად გაყოფილი ცდილობდნენ ქვების გროვით მდელის ბოლოში მინიშნულ მიზანში, ერთი კაცი რომ იცავდა, ბურთი გაეტანათ. ეს ახლად დავილი გასაგები, თორემ მაშინ ეს ტყავის სფერო, რომელშიც კაცმა არ იცის როგორ იტუმბებოდა ჰაერი, უცნაურ ასოციაციებს იწვევდა, რადგან არაფრით შეესატყვისებოდა და იგივე დასახელების საგანს, რომლითაც ქართველები ლელოს თამაშობდნენ“...

ფოთში გამართულ ერთ-ერთ პირველ მატჩს კი, ფოთელი ვეტერანი ფეხბურთელი გრიგოლ ხორავა ასე იგონებს:

„იმ დღეს ერთმანეთს გემბანისა და სამანქანო განყოფილების გუნდე-

ძლიერი დარტყმით ძირს დასცა. ჩვენ გვეგონა ჩხუბსა და აყალმყალს ასტეხდნენ, მაგრამ მათ ვაჟკაცურად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და ვითომც აქ არაფერიო, ერთად გაეშურნენ გემზე“...

ფოთელების თამაშმა მოწონება დაიმსახურა და 1906 წელს ქალაქში პირველი ფეხბურთის გუნდიც შეიქმნა, რომელიც ნიკო ნიკოლაძის ვაჟმა გიორგიმ დააფუძნა. ორ წელიწადში მის ბაზაზე ოფიციალური გუნდი ჩამოყალიბდა. ყოფილი ფეხბურთელის, ინგლისური მარგანეცის კონცესიის წარმომადგენლის ოსკარ ზივერტის ხელმძღვანელობით. იგი გუნდსაც პატრონობდა და თან კაპიტნის სამკლავურიც ეკეთა.


თავიდან ფოთელები ხშირად აგებდნენ, შემდგომ კი მოგებებსაც გაუშინაურდნენ. აი, ქართული ფეხბურთის „პირველი მერცხლებიც“:

ალექსანდრე კაჭარავა, ვიქტორ ყურუა, ვიანესლავ ობიანსკი, ვანიჩქა დიდა, ვლადიმერ პაიჭაძე, რუბენ ალხაზოვი, შურა ქავთარაძე, ვანიჩქა კვაჭაძე და სხვები, მათ შორის ორი იტალიელი – გლაჯო და ლუიჯი.

მალე ოსკარ ზივერტმა მუხლის ტრავმა მიიღო და მწვრთნელობას დაჰყაბულდა, კაპიტანი კი მისი შვილი ედუარდი გახდა. ახლა ფოთელები ხშირად ამარცხებდნენ ინგლისელებს – მოგებულს წაგებულის ფორმა რჩებოდა ჯილდოდ. გუნდს დაემატნენ გრიგოლ ხორავა, მეკარე შალიკო დარჩია, შალვა პაიჭაძე, გოგი გოგინავა, იონა ყურუა, გრიგოლ ლოღობერიძე, ვალოდია ცომაია, ეფრემ ლაითაძე, პეტია ლუკიანოვი, ლადო გაბუნია.

1922 წელს მათ ვანო მიქაძე დაემატათ სოსუმედან. გუნდს, რომელსაც „უნიტა“ დაერქვა, კოლია გოგინავა კაპიტნობდა. მერე და მერე გამოჩნდნენ „ურანი“, „რემედასი“, ფოთის I და II გუნდები. „ურანში“ ედუარდ ნიკოლაიშვილი, ცაგუ ჭითანავა, მიშა ანთაძე, აკაკი ჟღენტი, ვალოდია შუბლაძე, მიშა ზემლიცკი, ვასიკო შუბლაძე, საშა ალიმონაკი, გიგა ლეჟავა, გრიშა იმნაძე, ანდრო გაბუნია, ვალია პაიჭაძე თამაშობდნენ. II გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: დუშა ვეკუა, მიტრო ასათიანი (მაცრატელას ოსტატი), პანაი კურჩიდი, კაკო აფხაზავა, კოტე გუნია, ფედია სეროპინასი, ფანტი კვანტალიანი, მაყა ხორავა და სხვები. I გუნდი კი თითქმის მთლიანად „უნიტას“ შემადგენლობა იყო ჯარჯი ნიკოლაიშვილით გაძლიერებული.

მერე და მერე ბორის პაიჭაძის



ფოთის პორტი ძველად



ბორის პაიჭაძე

თაობა წამოვიდა, ბავშვობაში ე.წ. „ჩხარტიშვილის მიწოდორზე“ რომ ისწავლეს ბურთაობა. გთავაზობთ ამ თაობის წარმომადგენლის, რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი კაკო იმნაძის საინტერესო მონათხრობს:

– ჩემს ბავშვობაში ფოთის პორტში მსოფლიოს ყველა ქვეყნის გემს ნახავდით. გაჰქონდათ და გაჰქონდათ ქართული მარგანეცი. მაშინ მარგანაცეს პირდაპირ გოდრებით ტვირთავდნენ. ამიტომ ბუნებრივია, გემები თვეობით რჩებოდნენ. ძირითადად ინგლისური გემები შემოდოდნენ, თუმცა იყვნენ ფრანგები, იტალიელები და ბერძნებიც. პორტთან ახლოს ინგლისელმა მეზღვაურებმა სტადიონი მოაწყვეს და ყოველდღე, როცა თავისუფალი დრო ჰქონდათ, ფეხბურთს თამაშობდნენ. ის სტადიონი მეც კარგად მახსოვს, ისეთი დრენაჟი ჰქონდა, რაც არ უნდა ეწვიო, გუბე მაინც არ დარჩებოდა მოედანზე. ნელ-ნელა მათგან ჩვენც ვისწავლეთ

ფეხბურთის თამაში. ბურთი მაშინ ძნელი საშოვნო იყო და მე და ჩემი სიყრმის მეგობრები – გრიშა გაგუა, ვანიჩქა კინწურეიშვილი, საშა ელიავა, კაკო ყალიჩავა, ალბერტ კომახიანი, გვაჩი ჯორბენაძე, ბორია პაიჭაძე სასაკლაოში დავდიოდით, რათა ძროხის ან კამეჩის ბუშტი გვეშოვა. როგორც კი ბუშტს მოვიხელთებდით, ძველ ფეხბურთელთან, დუშა ვეკუასთან გავრბოდით, რო-

მელიც სახელდახელოდ გვიმზადებდა ბურთებს. ხან ერთმანეთში ვთამაშობდით, ხანაც ინგლისელებს ვეპაექრებოდით. მოედნის გარშემო იმდენი მაყურებელი იყრიდა თავს, რომ ნემსი არსად ჩავარდებოდა. ფოთი მაშინ პატარა ქალაქი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თამაშებს მაყურებელი არასდროს აკლდა. პატარები ვიყავით და ერთი სული გვქონდა, იმ ბრწყინვალე გაზონზე როდის გავაგორებდით ბურთს. მერე უფროსებმა ფორმები შეგვიძინეს და მოგეცათ ლხენა, როდესაც წამოვიზარდეთ, თითქმის ყველა ჩვენთაგანმა თბილისის „დინამოს“ მაისური ჩაიცვა.

აი, კიდევ ერთი ძველი ფეხბურთელის, ივანე (ლოლო) ხოფერიას ნაამბობი:

„ომამდე ხშირად მუსიკის აკომპანიმენტით ვთამაშობდით. ძველი ფეხბურთელი კაკო ჟღენტი გვიკეთებდა რკინის ქაცვებს ბუცებზე, წვივსაფრებად კი ბამბუკის

შუაში გახერხილ ლეროებს ვხმარობდით, თუმცა ტრავმები მაინც ძალზე იშვიათად იყო. მოედანი ახლა რომ წისქვილკომბინატია პორტში, იმის ადგილზე იყო. მახსოვს, უფროსები ინგლისელებს ფეხბურთის ფორმაზე ეთამაშებოდნენ. ჩვენების მოგების შემთხვევაში, რაკილა ფორმის იქვე გადაცემა დიდ სირცხვილად და უხერხულად ითვლებოდა, ინგლისელები ზღვაში რომ გავიდოდნენ, ხოს ყუთში აწყობდნენ ფორმებს და ზღვაში აგდებდნენ, ჩვენები კი შეცურდებოდნენ და ნაპირზე გამოჰქონდათ. არ მახსოვს ინგლისელებს ოდესმე სიტყვა გაეტეხათ, მუდამ ჯენტლმენურად ასრულებდნენ ნაგებულის პირობას.

ომი რომ დაიწყო, მოხალისედ წავედი, ხარკოვთან ტყვედ ჩავვარდი. ომის დამთავრების შემდეგ პოლანდიაში და საფრანგეთში ვიყავი, სადა აღარ მითამაშია ფეხბურთი. მერე ესტონეთში ვთამაშობდი, 1946 წელს კი ანდრო ჟორდანიამ ჩამომიყვანა. მერე რაკილა მენისკი დამემართა, 1948 წლიდან 23 წელი ვიყავი ფოთის კოლხეთის სათავეში. გუნდს რომ უჭირდა, საკუთარი სახლიდან ვეზიდებოდი საჭმელ-სასმელს. ერთხელ ერთ მსაჯს საკუთარი მაცივარიც კი გავატანე, მაგრამ ვისაც კი ახსოვს, დამეთანხმება, რომ ცხონებულ დედაჩემზე დიდი ფეხბურთის გულშემმატკივარი ფოთში არ ყოფილა – ეს მოხუცი ქალი გასვლით თამაშებზეც კი დაგვყვებოდა“.

ხუან სებასტიან ვერონი: „მარადონასნაირი ფეხბურთელი არასდროს დაიზადება“

← მეთორმეფე გვერდიდან

– დონ დიეგო მამაჩემის (ხუან სებასტიანის მამა ხუან რამონ ვერონი “ესტუდიანტესში” თამაშობდა და სამჯერ ლიბერტადორესის თასი აქვს მოგებული) სიტყვებმა გააბრაზა. არადა, მამაჩემთან ერთად არ ვცხოვრობ და მითუმეტეს, მის სიტყვებზე პასუხს ნამდვილად ვერ ვაგებ.

– თქვენ მარადონასთანაც გითამაშიათ და მესისთანაც. შეგიძლიათ მათი შედარება?

– დიეგოსნაირი ფეხბურთელი არასდროს დაიზადება. მისი დრიბლინგის, პასების, გოლების გამეორება შეუძლებელია. მასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. “პარმა”-“იუვენტუსის” შეხვედრას



მარადონა დაესწრო და სუვენირის სახით ლილიან ტიურამისა და ფაბიო კანავაროს მაისურები მთხოვა. როდესაც მათ მარადონას თხოვნა

გავაცანი, ტიურამს ამის დაჯერება გაუჭირდა. მას ტელეფონი გადავუეცი და პირადად დიეგომ სთხოვა საფეხბურთო ეკიპირება. შემდეგ მარადონა კანავაროსაც გაესაუბრა. ფაბიოს რეაქცია არ დამავიწყდება – ჯერ გაოგნებული იდგა, შემდეგ კი ცრემლი მოერია. ფაბიო პატარა ბავშვივით ზლუქუნებდა.

– წმინდა საფეხბურთო მონაცემებით მესი მარადონას ჩამორჩება?

– ორივე ფანტასტიკური აჩქარებით გამოირჩევა, რომელიც მათ მეურვეებს ანადგურებს. ისე კი, ლეო მსოფლიო გრანდში ასპარეზობს, მარადონა კი „ნაპოლიში“ მოხვდა და ხომ გახსოვთ, რა დონეზე აიყვანა ნეაპოლელები.

მოამზადა
გოჩა კახარაძე

განი

რეალი

მადრიდში ფეხბურთი ლიბრე დე ენსენანცას სტუდენტებმა და პროფესორებმა შეიტანეს. მათ შორის რამდენიმეს ოქსბრიჯის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული.

1895 წელს მათ დააარსეს კლუბი „საფეხბურთო ცა“ (Football Sky), რომელიც 1900 წელს ორად გაიყო: „ფუტბოლ დე მადრიდად“ და „ესპანიოლ დე მადრიდად“. ამ უკანასკნელის პრეზიდენტი გახდა ხულიან პალასიოსი. 1902 წელს ეს კლუბიც გაიყო, რის შედეგადაც 1902 წლის 6 მარტს ჩამოყალიბდა მადრიდის საფეხბურთო გუნდი, რომლის პირველი პრეზიდენტი იყო ხუან პადროს რუბიო. მოგვიანებით იგი მისმა ძმამ, კარლოსმა შეცვალა.



სამეფო კლუბი სწორედ მადრიდის „რეალია“.

მიუხედავად იმისა, რომ პადროსების დაარსებულმა კლუბმა მეფისგან ასეთი წყალობა მიიღო, გუნდი ვერა და ვერ ახერხებდა კუთვნილი პოზიციის დამკვიდრებას. დედაქალაქელებს „ბარსელონა“ და ბილბაოს „ატლეტიკი“, წარმატებების მხრივ საგრძობლად სჯობდნენ.

1910 წლიდან მოყოლებული მადრიდის „რეალს“ მძიმე პერიოდი დაუდგა - გუნდი წარმატების გამეორებას ვერა და ვერ ახერხებდა. ესპანეთის თასის გათამაშებაში კარგა ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იმარჯვა - 1917 წელს.

1928-1929 წლის სეზონი მადრიდის „რეალისთვის“ ესპანეთის ჩემპიონატში სადებიუტო იყო. პრიმერა დივიზიონი სწორედ იმ წლების ჩემპიონატიდან იღებს სათავეს.

სასტარტო პირველობაზე მადრიდის „რეალმა“ ათ გუნდში მეორე ადგილი დაიკავა - თვრამეტი შეხვედრიდან თერთმეტი მოიგო და ექვსი წააგო. ამას ორი წლის მანძილზე ჩავარდნა მოყვა. მერე კი 1932-1933 წლებში მადრიდის „რეალი“ ზედიზედ ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

1943 წელს მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ანტონიო სანტოს პერ-

„რეალის“ თავდაპირველი სახელწოდება იყო: „მადრიდ კლუბ დე ფუტბოლ“. გუნდი ესპანეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა საგვარეულომ - პადროსებმა დაარსეს. „მადრიდ კლუბ დე ფუტბოლი“ დაარსებისთანავე ჩაება საფეხბურთო ფერხულში და იმთავითვე მოწინავე პოზიციები დაიკავა. 1902 წელს ალფონს XIII-ის გამეფებასთან დაკავშირებით, ესპანეთში მოეწყო თასის გათამაშება, რომელიც დღეს ესპანეთის თასის სტატუსს ატარებს, ზოგადად კი სამეფო თასად მოიხსენიებენ.

მადრიდის „რეალის“ ისტორიაში პირველი ოფიციალური ტურნირი სწორედ 1902 წლის სამეფო თასის გათამაშება იყო. იმ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი მადრიდული საფეხბურთო კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი კარლოს პადროსი გახლდათ.

სადებიუტო ტურნირში ახლადდაარსებულმა კლუბმა თავი ვერ ისახელა, მაგრამ მომდევნო წელს გუნდმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტ შეხვედრაში „მადრიდ კლუბ დე ფუტბოლი“ ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ დამარცხდა (ბილბაოს „ატლეტიკს“ მაშინ „ატლეტიკო“ ერქვა).

1904 წელს, ანუ დაარსებიდან ორი წლის შემდეგ, მადრიდის „რეალმა“ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში - ესპანურმა კლუბმა მონაწილეობა მიიღო უდიდესი საფეხბურთო ორგანიზაციის, „ფიფას“ დაარსებაში.

ამ მოვლენამ მადრიდის „რეალის“ პირველ წარმატებებს დაუდო სათავე. 1905 წლიდან 1908 წლის ჩათვლით პადროსების დაარსებულმა კლუბმა ზედიზედ ოთხჯერ იმარჯვა მეფის, ანუ ესპანეთის თასის გათამაშებაში. სხვათა შორის, ეს მიღწევა დღემდე სარეკორდოა, ამ ტურნირის ისტორიაში. მისი გამეორება მხოლოდ ერთხელ მოხერხდა და ისიც ბილბაოს ატლეტიკომ შეძლო 1930-1933 წლებში.

სამეფო თასზე მოპოვებული გამარჯვებითა სერიის გამო, ალფონს XIII-მ „მადრიდ კლუბ დე ფუტბოლს“, საკუთარი ინიციატივით, სახელში დაურთო სიტყვა „რეალ“. მადრიდის „რეალის“ დღევანდელი სახელწოდება სწორედ აქედან მოდის. იმ დღიდან მოყოლებული კლუბმა სამეფოს



კოპა, რიალი, დი სტეფანო, პუშკაში და ჰენტო

სტატუსი შეიძინა. მართლია, მას შემდეგ რამდენიმე ესპანურმა კლუბმა სახელში საკუთარი ინიციატივით „რეალი“ ჩაიმატა (იგივე „რეალ მალიორკა“, „რეალ სოსიედადი“), მაგრამ პირინეის ნახევარკუნძულზე ყველა აღიარებს, რომ ერთადერთი



ალბა თანამდებობიდან გადადგა და კლუბის მეთაურის სავარძელი სანტიაგო ბერნაბეუს დაუთმო, კაცს, რომლის სახელიც დღეს რეალთან ასოცირდება.

ახალმა პრეზიდენტმა გუნდი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა, თუმცა სანტიაგოს იმდენად უყვარდა "რეალი", რომ მალე კლუბი მსოფლიოში უძლიერესად აქცია.

1946 წელს საგრძნობლად გაძლიერებულმა მადრიდის "რეალმა" ათწლიანი შესვენების შემდეგ ესპანეთის თასი მოიპოვა. გუნდმა ტიტული მომდევნო სეზონშიც შეინარჩუნა.

1947 წლის 14 თებერვალს მადრიდში ახალი საფეხბურთო სტადიონი გაიხსნა, რომელსაც კლუბის პრეზიდენტის საპატივცემულოდ "ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუ" ეწოდა. ეს სტადიონი უფრო თანამედროვე იყო, ვიდრე ოციან წლებში აგებული 22 000-იანი "ჩამარტინი".

"რეალის" მაისური ბევრმა სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა მოირგო: არგენტინელმა ექტორ რიალმა, ფრანგმა რაიმონ კოპამ, ბრაზილიელმა დიდომ, ურუგვაელმა ხოსე სანტა მარიაიმ, უნგრელმა ფერენც პუშკაშმა, ესპანელმა ვარსკვლავებმა: მარკოტოსმა, მუნოსმა, ჰენტომ და სხვებმა, მაგრამ დონ სანტიაგოს პრეზიდენტობის დროს ყველაზე სარფიანი გარიგება, რაღა თქმა უნდა, ალფრედო დისტეფანოს "რეალში" მიწვევა იყო.

1956 წელს პირველად ჩატარდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება, რომლის ფინალშიც მადრიდის "რეალმა" საფრანგეთის უძლიერესი კლუბი სტად დე რეიმსი 4:3 დაამარცხა და პირველად მოიპოვა კონტინენტის საუკეთესო კლუბის ტიტული.

შემდგომი ოთხი წლის მანძილზე "რეალმა" არავის დაუთმო ჩემპიონთა თასი, რაც ამ ტურნირის ისტორიაში საუკეთესო მიღწევაა.

1950-იანი წლები, რომელიც

უდავოდ მა-დრიდის "რეალის" იყო, 1960-იანმა წლებმა შეცვალა. ათწლეულის პირველი წელიწადი, ანუ 1960 წელი "რეალისთვის" ბრწყინვალე გამოდგა - გუნდმა ჩემპიონთა თასზე მესხეთე გამარჯვება მოიპოვა, სძლია რა ფრანკ-ფურტის „აინტრახტს“ 7:3. ეს შეხვედრა ბევრი საფეხბურთო ჟურნალისტის აღიარებით ყველა დროის საუკეთესო საფეხბურთო მატჩად ითვლება. იმავე წელს მადრიდის "რეალმა" პირველად გათამაშებული საკონტინენტთაშორისო თასიც მოიპოვა.

1960-იანი წლების მიწურულს მადრიდის „რეალი“ ნელ-ნელა დატოვეს გუნდის ლიდერებმა. კლუბმაც ევროპაში წამყვანი პოზიციები დათმო - მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში მადრიდის „რეალს“ კვლავ არ ჰყავდა ბადალი, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში სამეფო კლუბი ძველებურად ვეღარ ბრწყინავდა.

1975 წელს მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობის თანამდებობიდან გადადგა დონ სანტიაგო ბერნაბეუ. მისი ხელმძღვანელობით მადრიდის "რეალმა" არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ოცდაცხრა ტიტული მოიგო: ესპანეთის ჩემპიონატი თექვსმეტჯერ, ესპანეთის თასი ექვსჯერ, ჩემპიონთა თასიც ექვსჯერ და საკონტინენტთაშორისო თასი ერთხელ.

1978 წელს დონ სანტიაგო ბერნაბეუ 83 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი გზის გამგრძელებლებმა "რეალისთვის" ძველი დიდების დაბრუნება ვეღარ მოახერხეს. კლუბი საუკეთესო იყო ესპანურ სარბიელზე, ჯილდოს ჯილდოზე იგებდა, მაგრამ ევროასპარეზოზე გამარჯვებას ვეღარ ახერხებდნენ.

1981 წელს მა-დრიდის "რეალი" ჩემპიონთა თასის გა-

თამაშების ფინალში გავიდა, მაგრამ ესპანელებს იმ წლების მსოფლიოს საუკეთესო კლუბმა "ლივერპულმა" აჯობა. სხვათაშორის, მადრიდის "რეალი" ქართველმა გულშემატკივარმა სწორედ იმ წელს იხილა - 1981 წლის გაზაფხულზე თბილისის მაშინდელ ვ.ი.ლენინის სახელობის სტადიონზე ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში მოსკოვის "სპარტაკმა" "რეალს" უმასპინძლა. ის თამაში ფრედ - 0:0 დამთავრდა.

რაც შეეხება მადრიდის "რეალისა" და "დინამოს" დაპირისპირებას, ეს მოხდა 1981 წელს. მადრიდში, "დონ სანტიაგოს თასი" გათამაშდა, რომლის ნახევარფინალში "რეალმა" თბილისის "დინამოს" 4:2 სძლია. სწორედ ამ შეხვედრაში მოსტეხა მადრიდელმა მცველმა ანხელმა დავით ყიფიანს ფეხი. იმ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად და საუკეთესო მოთამაშედ „დინამოელები“ დასახელდნენ - შესაბამისად: რამაზ შენგელია და ვლადიმერ გუცაევი, ხოლო 1979-1980 წლების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში იმ პერიოდის ევროპის გუნდების რისხვას, უძლიერეს „ლივერპულს“ თბილისის „დინამომ“ რა დღეც აყარა კარგად მოეხსენებათ ქართული ფეხბურთის ქომაგებს. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი 1970-1980-იან წლებში ტოლს არ უდებდა ევროპის დიდ გუნდებს.

1985-1986 წლებში მადრიდის "რეალმა" ორჯერ მოიპოვა უეფას თასი, პრიმერა დივიზიონში კი ზედიზედ ხუთჯერ გაიმარჯვა.

1990-იანი წლების დასაწყისი "რეალისთვის" რთული გამოდგა - კლუბი ვერა და ვერ ახერხებდა უპირველესი კონკურენტის, "ბარსელონას" ჩრდილიდან გამოსვლას, ხოლო 1990-იანი წლების ბოლო და 2000-





იანი წლების დასაწყისი „რეალის“ ისტორიაში“ ერთ-ერთი წარმატებული იყო – გუნდმა სამჯერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მოგება. იმ ეპოქის მთავარი როლის შემსრულებლები იყვნენ: მწვრთნელი ვისენტე დელ

ბოსკე და ბრწყინვალე ფეხბურთელების მთელი პლეადა: რაული, მორიენტესი, იერო, კარლოსი, ელგერა, სალგადო, კასილიასი, ფიგუ, ზიდანი, რონალდო და ასე შემდეგ... თუმცა 2004 წლიდან გუნდს ჩა-

ვარდნა დაეწყო. „რეალი“ წლების მანძილზე ვერ ახერხებდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლასაც კი. 2010 წლიდან გუნდს სათავეში ჩაუდგა ჟოზე მარინიო. რეალი ზედიზედ ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, თუმცა ხელი (ფეხი) ორივეჯერ მოეცარა. 2011 წელს კი ესპანეთის თასი მოიგო და თან ფინალში „მოსისხლე მტერი“ „ბარსელონა“ დაამარცხა. 2012 წელს სამეფო გუნდი ესპანეთის ჩემპიონიც გახდა, ხოლო 2013 წელს გუნდმა ვერც ერთი ტიტული ვერ მოიგო. წარუმატებლობის გამო გუნდიდან გაუშვეს მთავარი მწვრთნელი ჟოზე მარინიო. იგი ამ თანამდებობაზე შეცვალა არანაკლებ სახელოვანმა და ტიტულოვანმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ და მან თავის პირველივე სეზონში მადრიდის „რეალთან“ ერთად წონად წარმატებებს მიაღწია.

წარმომადგენთი მადრიდის „რეალის“ მიერ მოპოვებულ ტიტულებს:

ესპანეთის ჩემპიონატი	(32): 1931-32, 1932-33, 1953-54, 1954-55, 1956-57, 1957-58, 1960-61, 1961-62, 1962-63, 1963-64, 1964-65, 1966-67, 1967-68, 1968-69, 1971-72, 1974-75, 1975-76, 1977-78, 1978-79, 1979-80, 1985-86, 1986-87, 1987-88, 1988-89, 1989-90, 1994-95, 1996-97, 2000-01, 2002-03, 2006-07, 2007-08, 2011-12.
ესპანეთის თასი	(18): 1904-05, 1905-06, 1906-07, 1907-08, 1916-17, 1933-34, 1935-36, 1945-46, 1946-47, 1961-62, 1969-70, 1973-74, 1974-75, 1979-80, 1981-82, 1988-89, 1992-93, 2010-11.
ესპანეთის სუპერთასი	(9): 1988, 1989, 1990, 1993, 1997, 2001, 2003, 2008, 2012.
უეფა-ს ჩემპიონთა თასი - ჩემპიონთა ლიგა	(9): 1955-56, 1956-57, 1957-58, 1958-59, 1959-60, 1965-66, 1997-98, 1999-2000, 2001-2002.
უეფა-ს თასი	(2): 1984-85 1985-86.
საკონტინენტთაშორისო თასი	(3): 1960, 1998, 2002.
უეფა-ს სუპერთასი	(1): 2002.

ინტერვიუ პელესთან

„ბაუჩუდან“ „კოსმოსში“

← მეცხრამეცე გვერდიდან

- გაგიკვირდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად გონებაში არასაფეხბურთო ამბები ჩამებეჭდა. დღემდე კარგად მახსოვს შვეციის დედოფალთან შეხვედრა – ენით აუღწერელი გრძნობა დამეფულა, როდესაც მას ხელს ვართმევდი. მეორე განუმეორებელი ეფექტი ულამაზესი ასულების ხილვამ მოახდინა. აქამდე ამდენი მომხიბლავი გოგონა ერთად შეყრილი არასოდეს მენახა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ასეთ პირობებში როგორ უნდა იფიქრო ვარჯიშსა და თამაშზე. თანაც, ჩვენი ნაკრების სანვრთნელი მოედანი ტბასთან ახლოს იყო, რომლის ნაპირზეც საცურაო კოსტუმებში გამოწყობილი ქერათმიანი გოგონები მზეს ეფიცებოდნენ. ვარჯიშების შემდეგ თანანაკრებლებთან ერთად საათობით ვტკებობი ამ იდილიური სურათის ხილვით.

- მოდიტ ისევ ფეხბურთს დავუბრუნდით. მას შემდეგ იგი მნიშვნელოვნად შეიცვალა?

- უშუალოდ მოედანზე ბევრი არაფერი შეცვლილა. მაშინაც და დღესაც ის გუნდები იმარჯვებენ, რომელთა შემადგენლობაშიც უფრო მეტი მაღალი კლასის მოთამაშეა. ცვლილება ძირითადად მოედნის მიღმა მიმდინარე პროცესს შეეხო. ავიღოთ თუნდაც მაისურებზე კლუბების სპონსორი ფირმების წარწერები – გუნდის დამარცხების შემთხვევაში თითქოს მეოხი ფირმებიც განიცდიან მარცხს, რადგანაც ისინი კლუბებთან ასოცირდებიან. სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტელევიზია. ასე მაგალითად, თუ აშშ-ში რომელიმე ტელემაგნატი არ გწყალობთ, სპორტში სასიკეთოს ვერაფერს მიაღწევთ. დღევანდელ ეტაპზე კი, უმთავრესი, რასაკვირველია, ფინანსური საკითხი გახლავთ. ამ მხრივ ძველსა და ახალ თაობას შორის უდიდესი სხვაობაა. დღევანდელი ფეხბურთელები ადრეული ასაკიდან მხოლოდ ფულზე ფიქრობენ, ჩემს დროს კი, უმთავრესი თამაშისგან მიღებული სიამოვნება იყო.

- ასეთი უცნაური კანონზომიერება აღმოვაჩინეთ – სახელგანთქმულ ბომბარდირთა უმრავლესობა კარში სიამოვნებით დგებოდა...

- დიახ და ეს მეც მეხება. ჩემ დროს შეცვლები დაშვებული არ იყო, ამიტომ სათადარიგო მეკარე მოედნის მოთამაშეებიდან უნდა აგვერჩია. "სანტოსსა" და ბრაზილიის ნაკრებში სარეზერვო გოლკიპერად მე ვითვლებოდი. ოფიციალურ მატჩებში სამჯერ მომინია "სანტოსის" კარის დაცვა და გოლკიპერის ამბლუაში ურიგოდ არ მიასპარეზია. კარგად მახსოვს, როდესაც იოჰან კრუიფი "კოსმოსში" ვარჯიშობდა, მასაც ძლიერ მოსწონდა სამეკარეო ხელთ-



ათმანების მოზომვა. ხშირად მასთან სანაძღლოს ვდებდი – ერთმანეთს ხუთ-ხუთ პენალტს ვურტყამდით და ამ დუელებში გამარჯვებული ძირითადად მე გამოვდიოდი.

- საფეხბურთო კარიერა აშშ-ში დაასრულეთ. "სანტოსიდან" წასვლის შემდეგ სხვა ქვეყნებიდან თუ გქონდათ მიწვევები?

- უამრავი. იტალიაშიც მიხმობდნენ, ესპანეთშიც და მექსიკაშიც. ეს "სანტოსში" თამაშის პერიოდში ხდებოდა. უზარმაზარ ჰონორარებს მთავაზობდნენ, მაგრამ ბრაზილიაში თავს მშვენივრად ვგრძნობდი. დღეს სრულიად საპირისპირო სიტუაციაა. მოთამაშეები დაუფიქრებლად გარბიან იქ, სადაც ასტრონომიულ თანხას უხდიან. ისე, მათი გამტყუნებაც ძნელია – საფეხბურთო კარიერა ხომ მხოლოდ თხუთმეტი წელი გრძელდება. ჩვენ არც მუსიკოსები ვართ და არც ექიმები, რომლებსაც სამოცდაათი წლის ასაკის გადაბიჯების შემდეგაც შეუძლით მაღალ

ანაზღაურებად სამსახურში იღვანონ.

- მოთამაშეობისას, ალბათ, ტრავმათა გამო, ქირურგიული ოპერაციებიც ჩაგიტარდათ...

- თქვენ წარმოიდგინეთ, მოთამაშეობისას ქირურგს ჩემთვის დანა არ დაუსვამს. სულ სამი სერიოზული ტრავმა მქონდა – პირველად პორტუგალიელებმა მაზარალეს, როდესაც 1966 წლის მუნდიალზე ლივერპულის "გუდისონ პარკზე" მუხლის მყესები გამინწყვიტეს. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მქონდა ფეხი დაზიანებული, ხოლო მესამედ ცხვირი გავიტყე. გარდა იმისა, რომ ქირურგებთან შეხვედრას გაფურბოდი, ინექციების გაკეთებაზეც ხშირად ვამბობდი უარს, რადგან ტკივილის სხვადასხვა გამაყუჩებლები ორგანიზმზე დამანგრეველ ეფექტს ახდენენ.

- 1974 წლის გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა რატომ არ მიიღეთ?

- იმ პერიოდში "სანტოსში" თამაშს ვასრულებდი. ბრწყინვალე ფორმაში ვიყავი და თან კლუბთან ერთად სან-პაულუს შტატის ჩემპიონი გახვდი. საუკეთესო გოლელადორისთვის განკუთვნილი პრიზიც მე დავიმსახურე. პრობლემა კი უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა – ბრაზილიაში მაშინ დიქტატორული ხუნტა მძვინვარებდა და მას მხოლოდ მორჩილი ადამიანები მოსწონდა. ჩემი უარი პროტესტის ერთგვარი ფორმა გახლდათ.

- სამწუხაროა. უარი რომ არ გეთქვათ, იმ მომენტისათვის მოედნის ერთადერთი მოთამაშე იქნებოდით (მექსიკელთა მეკარე ანტონიო კარბახალს თუ არ მივიღებთ მხედველობაში), რომელსაც ხუთ მუნდიალზე ექნებოდა მონაწილეობა მიღებული...

- საკუთარ პრინციპებს ვერ ვულატებდი. ისე, 1986 წელსაც მომეცა შანსი მსოფლიო საფეხბურთო ფორუმზე თამაშისა. 1985 წლის დეკემბერში ბრაზილიის პრეზიდენტმა თავისთან მიხმო და მკითხა, მომდევნო წელს, მექსიკაში ხომ არ იასპარეზებო. მე მივუგე: „თუ მწვრთნელი მუნდიალის სტარტამდე სამი-ოთხი



თვით ადრე მომმართავს, სათანადო ფორმას აღვიდგენ და მაღალ დონეზე თამაშიც შემეძლება“. თუმცა, ამ იდეას შემდგომი განვითარება არ ღირსებია და ჩემთვისაც მეტად არავის მოუშართავს.

- ფეხბურთში აუხდენელი ოცნება თუ დარჩათ?

- არავის სჯერა, მაგრამ "უემბლიზე" არც ერთხელ არ მისასპარეზია. ეს ამბავი ამას წინათ, ბობი ჩარლტონსაც ვუთხარი და მანაც არ დამიჯერა. 1963 წელს ინგლისის ნაკრებს უნდა დავპირისპირებოდი, მაგრამ ბრაზილიამ "უემბლიზე" უჩემოდ ითამაშა. ნამდვილად არ მახსოვს, თუ რატომ ვერ მოვირგე მაშინ ყვითელი მაისური - ან დამტვრეული ვიყავი, ან "სანტოსს" ექნებოდა მეტად მჭიდრო გრაფიკი. ამ ფაქტზე გული დღემდე მწყდება. ისე, 1990 წელს, ჩემს ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით, მატჩის ჩატარება თავდაპირველად სწორედ "უემბლიზე" იყო დანიშნული, მაგრამ ეს პატივი წილად მაინც არ მხვდა - "უემბლიზე" იმხანად წინასწარ ბევრი მატჩი და ღონისძიება იყო დაგეგმილი, ამიტომ ხსენებული შეხვედრა მილანის "სანსიროზე" გადაიტანეს.

- როგორ თვლით, ფეხბურთის წესებს კორექტირება ხომ არ ესაჭიროება?

- წესებს, როგორც

დოგმას ისე არ უნდა მივუდგეთ - ფეხბურთის განვითარებასთან ერთად ისინიც უნდა იცვლებოდნენ. ამას წინათ, ფიფამ საკუთარი მოსაზრების გამოხატვა მთხოვა და რამდენიმე იდეა მეც შევთავაზე. ასე მაგალითად, მიმარჩია, რომ "ცოცხალი კედლის" პრაქტიკა უნდა გაუქმდეს. თავად განსაჯეთ, სწორად მოთამაშის წინ მხოლოდ ორი-სამი ფეხბურთელია, როდესაც მის წინააღმდეგ უხეშად თამაშობენ. ამ დროს საჯარიმო ინიშნება და დამრტყმელის წინ "ჩინეთის კედელი" აღიმართება ხოლმე.

- სპორტის მინისტრობის პერიოდში თქვენ "პელეს კანონი" შეიმუშავეთ. რა ბედი ეწია მას?

- კანონს ბრაზილიის პარლამენტმა რატიფიცირება მოუხდინა და იგი მოქმედებს. ვიმედოვნებ, ჩემს მიერ შემუშავებული კანონი ხელს შეუწყობს ბრაზილიური კლუბების ფინანსურად მომძლავრებას. ეს ახალგაზრდა, პერსპექტიული ბრაზილიელი ფეხბურთელების სამშობლოში დარჩენის წინაპირობად უნდა იქცეს. დღეს კი, ჩვენი ქვეყანა ერთგვარ საფეხბურთო სუპერმარკეტადაა ქცეული.

საინტერესო ფაქტები პელეს ბიოგრაფიიდან

პელე იცავდა სამი კლუბის ღირსებას. 1953-

1956 წლებში იგი "ბაურუმი" თამაშობდა, 1956-1974 წლებში "სანტოსში" გამოდიოდა, ხოლო 1975-1977 წლებში პელეს მოედანზე ხილვის ბედნიერება ნიუ იორკის "კოსმოსის" გულშემატკივრებსაც ხვდათ წილად.

ბრაზილიის ნაკრებში პელე პირველად სილვიო პირილომ მიიწვია. ფეხბურთის მეფეს თავისი ქვეყნის უპირველეს გუნდში დებიუტი 1957 წლის 7 ივლისს ჰქონდა. იმ დღეს ბრაზილია არგენტინას დაუპირისპირდა.

1363 მატჩში პელემ 1281 გოლი გაიტანა. განსაკუთრებით ილბლიანი მისთვის 1959 წელი აღმოჩნდა. "შავმა მარგალიტმა" "სანტოსის" შემადგენლობაში ჩატარებულ 100 მატჩში 126 გოლი გაიტანა. 1964 წელს, "ბოტაფოგოს" წინააღმდეგ თამაშისას პელემ რვაჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

ნაკრებიდან პელე 1971 წლის 18 ივლისს წავიდა. იგი "მარაკანაზე" შეკრებულმა 200 000-მა გულშემატკივარმა გააცილა, ხოლო "სანტოსს" იგი 1974 წლის 3 ოქტომბერს დაემშვიდობა. იმ დღეს პელეს გუნდი "პონტე პრეტას" ხვდებოდა. თამაშის 21-ე წუთზე პელემ ბურთს ხელი დასტაცა, რაც მის წასვლის ნიშნად იქცა. ტრიბუნებზე შეკრებილი მაყურებლები მოედანზე გადაცვივდნენ და თამაშიც შეწყდა.

1975 წელს პელე ნიუ

იორკის "კოსმოსის" წინადადებას დასთანხმდა და ამ კლუბში სამი სეზონი გაატარა. პელეს ფეხბურთიდან საბოლოო გაცილება 1977 წლის ოქტომბერში მოხდა. იმ დღეს მან ერთი ტაიმი "სანტოსის", ხოლო მეორე "კოსმოსის" რიგებში ჩაატარა.

ტიტულები

პელე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც სამჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ეს მან 1958, 1962 და 1970 წლებში მოახერხა.

პელემ ბრაზილიის სერია A ექვსჯერ მოიგო (1961, 1962, 1963, 1964, 1965 და 1968)

ის ლიბერტადორესის თასის ორჯონი მფლობელიც არის (1962, 1963)

პელეს თერთმეტჯერ აქვს მოგებული სან პაულუს შტატის ჩემპიონობა.

"სანტოსთან" ერთად პელემ ორჯერ მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი (1962, 1963).

პელე 1970 წელს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად სცნეს, ხოლო 1973 წელს - სამხრეთ ამერიკის უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს.

ფიფამ პელე მეოცე საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

მოამზადა ბორა კაჭარავამ





„ადიდასის“ ბურთი „კუესტრას“, მსოფლიოს მე-15 ჩემპიონატი, აშშ, 1994 წელი.
კადრი ფინალური მატჩიდან: იტალია – ბრაზილია.

შვედეთი, 1958 წელი.

**მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი
(შვედეთი-ბრაზილია).**

**პელე და გარინჩა მოწინააღმდეგის
პარის ალესის შეგდება.**



ISSN 2298-0970



9 772298 097000